გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N26(9242) 20 სექტემბერი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

## მოსწავლეები უსმენენ ცოდნის






სწავლის მწარე ძირის კენწეროში გასატკბილებლად











8

## ემოციებით დატვირთული პირველი დღე



უშანგი მარგიანი – 2017 წლის მსოფლიოს პრიზიორი

რატომ უნდა შევიყვანოთ ბავშვი საბავშვო ბაღში?

9



4

## ტახტზე ჯდომაა ადვილი, დავითობაა ძნელი!

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი

გვახსოვს ავღაზეთი

5

საყოველთაო დასუფთავების კამპანიას სამტრედიაც შეუერთდა

## "ფაროსანას გასანადგურებლად მოსახლეობის მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო"

# ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულია 30 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 24 პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი და ერთი საინიციატივო ჯგუფი, წილისყრის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 15-მა საარჩევნო სუბიექტმა. დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს წილისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან მათ უკვე ჰქონდათ განსაზღვრული რიგითი ნომრები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით. კანონმდებლობის თანახმად პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებს ექნებათ იგივე რიგითი ნომრები, რაც მიენიჭათ მათ წარმდგენ საარჩევნო სუბიექტებს.

სულ 27 რიგითი ნომერი გათამაშდა. რიგითი ნომრები კომისიის სხდომაზე მოწვეულმა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებმა დოლურიდან თავად ამოიღეს. აღსანიშნავია, რომ წილისყრის პროცესი იყო გამჭვირვალე და ცესკოში რეგისტრირებულ, არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს, მათ შორის დამკვირვებლებსა და მედიას, ჰქონდა შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა აღნიშნული პროცედურისთვის.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განისაზღვრება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუმცა, ცესკომ სუბიექტებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით და არასამთავრობო ორგანიზაცია ''მრავალეროვანი საქართველოს'' რეკომენდაციის გათვალისწინებით, წილისყრის პროცედურა და რიგითი ნომრების მინიჭება კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში, უფლებამოსილი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ არჩევნებში რიგითი ნომრის მოთხოვნის ვადის ამოწურვისთანავე განახორციელა.

**წილისყრის პროცედურის შედეგების მიხედვით, 15 საარჩევნო სუბიექტს შემდეგი რიგითი ნომერი მიენიჭა:**

№ 4 _ ''გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა''
№ 9 _ ''მემარცხენე ალიანსი''
№ 11 _ ''ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა''
№ 13 _ ''ჯონდი ბაღათურია _ ქართული დასი''
№ 14 _ ''საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია''
№ 18 _ ''ტრადიციონალისტები''
№ 20 _ ''შენების მოძრაობა''
№ 23 _ ''ახალი ქრისტიან-დემოკრატები''
№ 27 _ ბლოკი ''გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო''
№ 29 _ ''ახალი მემარჯვენეები''
№ 31 _ ''თავისუფლება _ ზვიად გამსახურდიას გზა''
№ 34 _ ''მამულიშვილთა ორდენის სამშობლო''
№ 37 _ ''სოციალისტური საქართველო _ კომუნისტები''
№ 38 _ ბლოკი ''სახალხო-ხალხის ერთსულოვნება''
№ 39 _ ''პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა''

**საარჩევნო სუბიექტები, რომელთაც რიგითი ნომრები საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით (წილისყრაში მონაწილეობის გარეშე) განესაზღვრათ.**

№ 1 _ ''მოძრაობა სახელმწიფო ხალხისათვის''
№ 2 _ საარჩევნო ბლოკი ''ბაქრაძე, უგულავა _ ევროპული საქართველო''
№ 3 _ ბლოკი ''ლორთქიფანიძე, კუკავა-თავისუფალი საქართველო''
№ 5 _ ბლოკი ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''
№ 6 _ ''რესპუბლიკური პარტია''
№ 7 _ ''თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის''
№ 8 _ ''დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი _ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი''
№ 10 _ ''შალვა ნათელაშვილი _ საქართველოს ლეიბორისტული პარტია''
№ 12 _ ''საქართველოს კომუნისტური პარტია _ სტალინელები''
№ 15 _ ''მშრომელთა სოციალისტური პარტია''
№ 17 _ ''საქართველო''
№ 22 _ ''მერაბ კოსტავას საზოგადოება''
№ 28 _ ''ზვიადის გზა უფლის სახელით'' (სამართლიანობის აღდგენის კავშირი; მეანაბრეთა ასოციაცია; იპოთეკით დაზარალებულთა დარბაზი; ალტერნატიული პირადობის დაშვების ლიგა; უფალია ჩვენი სიმართლე)
№ 41 _ ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო''

ცენტრალური საარჩევნო კომისია

## დამოუკიდებელ კანდიდატებს საარჩევნო ნომრები მიენიჭათ



54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს და თვითმმართველი თემის არჩევნებისთვის საინიციატივო ჯგუფების მხრიდან წარდგენილ 2 საარჩევნო სუბიექტს მაჟორიტარი კანდიდატის რიგითი ნომერი მიენიჭა.

21 ოქტომბრის არჩევნებში გომის 05 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში მონაწილეობას დამოუკიდებელი კანდიდატები, ვაჟა ნიკურაძე 42 ნომრითა და მამუკა ნიკოლეიშვილი 43 ნომრით მიიღებენ. ამისათვის 13 სექტემბერს საოლქო საარჩევნო კომისიაში წილისყრის პროცედურა გაიმართა.



შეგახსენებთ, რომ არჩევნებამდე 57 დღით ადრე 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატების რეგისტრაცია განხორციელდა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლად კენჭისყრის სურვილი 6-მა სუბიექტმა გამოთქვა. მათგან ერთი _ მამია ამაღლობელი საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოეთიშა საარჩევნო მარათონს.

ნინო ნანიტაშვილი

## უბნებზე თავმჯდომარეები, მოადგილეები და მდივნები აირჩიეს



20 და 21 სექტემბერს 54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქში შემავალ უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები ჩატარდა. 20 სექტემბრის დილით თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი 27 უბანზე იქნა არჩეული.

მე-40 უბანში საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრები, კურატორებად წოდებულები ნინო ვაშაკიძე და ალექსანდრე ნინუა, აგრეთვე ოლქის წარმომადგენელი საბა მეძმარიაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია ''ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის'' დამკვირვებელი ბექა შალამბერიძე დაესწრნენ პირველი ხსდომის გახსნას. სხდომას 13-დან 11 წევრი დაესწრო. 10 მომხრე, 1 წინააღმდეგი _ მე-40 უბანზე ღია კენჭისყრით თავმჯდომარედ აირჩიეს მარინე გედენიძე, მოადგილედ მარინა მამასახლისი და მდივნად _ მარინა ქავთარია.

''ევროპული საქართველოს'' მიერ დანიშნულმა კომისიის წევრმა, ლედი ნიკოლეიშვილმა სამივე კანდიდატურაზე უარი ღიად დააფიქსირა.



20 და 21 სექტემბერს საარჩევნო უბნებზე მიიტანეს საუბნო-საარჩევნო კომისიის აბრა, რომელზეც უბნის ნომერია გამოსახული. კედლებზე გაიკრა ამომრჩეველთა სიები, სადაც მოსახლეობას შეეძლება 20 სექტემბრიდან საკუთარი თავი გადაამოწმოს ამომრჩეველთა საერთო სიაში.

მე-40 უბანში პირველი სხდომის დასრულების შემდეგ მდივანმა მარინა ქავთარიამ სხდომის ოქმი შეადგინა, რომლის საფუძველზე სამი განკარგულება იქნა მიღებული _ თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის არჩევასთან დაკავშირებით.

ნინო ნანიტაშვილი

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოს _ საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი ''სამტრედიის მაცნე'' იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის ''საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ''საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

# საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

ლევან გაბეჩავა

9 საკითხი იქნა განხილული 18 სექტემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა.

საკითხთა ირგვლივ მომხსენებლები ბატონები შალვა არზუმანიანი, მერაბ უღრელიძე, ქალბატონი მანანა სირბილაძე გახლდნენ.

განხილულ იქნა საკითხი ''სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის № 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

''აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №588 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აგვისტოს №1719 განკარგულებით შეტანილი ცვლილების მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 124,9 ათასი ლარით და სულ დაფინანსება განისაზღვრა 130,0 ათასი ლარით. საკითხის ირგვლივ საუბრისას პოზიცია-ოპოზიციას შორის კითხვები წარმოიშვა. ოპოზიციამ ხელისუფლება მავნებლის წინააღმდეგ არაორგანიზებულ, დაგვიანებულ ბრძოლაში დაადანაშაულა, იყო ცხარე საუბარი, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, ბატონ მამუკა კვანტალიანის არგუმენტირებული ინფორმაციის შემდეგ, რომ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლა ახალ ფაზაში შედის, საკითხი მიღებულ იქნა.

განხილულ საკითხთა ირგვლივ საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.



უფასო პოლიტიკური რეკლამა

# აუტში, მაგრამ აქტიურები

ქეთევან ჭელიძე

***შეიცვლება თუ არა ქვეყანაში რამე, უკეთესის მოლოდინი მაინც არსებობს და მოსახლეობაც თავის პოზიციას არჩევნებში კიდევ ერთხელ დააფიქსირებს. არჩევანი დიდია, როგორც პარტიების, ისე კანდიდატების მხრივ. არიან ისეთებიც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რომ არ მონაწილეობენ, მათ შორისაა "ახალი მემარჯვენეები". მას ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია, მაღალი პოზიციებიდან მიემართა ხალხისათვის. გასულ წელს საპარლამენტო არჩევნებში იგი ბლოკის კონფიგურაციით გამოვიდა პაატა ბურჭულაძის "სახელმწიფო ხალხისათვის" და გიორგი ვაშაძის "ახალი საქართველოსთვის" ერთად, მაგრამ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა.***

***პარტიას თავისი წარმომადგენლობა სამტრედიაშიც ჰყავს და ჩვენც "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარეს, ლევან ბუაძეს მივმართეთ კითხვით, რატომ არ მონაწილეობს პარტია არჩევნებში?***

_ ეს არჩევნები არის თვითმმართველობის არჩევნები და დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანი. დემოკრატია რომ სრულყოფილი გახდეს, საამისოდ ამ არჩევნებში უნდა გამოჩნდეს ახალი იდეები, ახალი ადამიანები, აქტუალური საქმეების გამტარებელი ხალხი. ამას ნელნელა ვუახლოვდებით, ყველა მომდევნო წინაზე უკეთესია, სწავლობს ქართველი ერი.

**_ ე.ი. "ახალი მემარჯვენეები" კადრების დეფიციტს განიცდის?**

_ კადრები არის, პროგრამას ვინმე რომ კითხულობდეს, საუკეთესო დადეს რამდენიმე არჩევნებზე. ძალებია არათანაბარი, გაერთიანება თანამოაზრე პარტიებთან და გარკვეული სოლიდური ფორმით გამოსვლას ახერხებდა, აქ იგულისხმება, პირველ რიგში, ადამიანური და ფულადი რესურსები, ასევე, ტექნიკური საშუალებები და ა. შ. ყველაფერი, რაც საარჩევნოდ არის საჭირო.

პარტია ალიანსში მოიაზრებოდა "ევროპულ ახალგაზრდებთან", ვაშაძის გუნდთან, დასაწყისში "ეროვნულ-დემოკრატებთან", მოიაზრებოდა სხვა მემარჯვენე ძალებთანაც. პარტია 2020 წლისთვის სერიოზულად მოემზადება. შეიძლება, მარტოც გამოვიდეს არჩევნებში, რადგან ის განსხვავებული არჩევნებია, პროგრამებზე კეთდება აქცენტი. ხალხი, რომელიც აზროვნებს პროგრესულად, ჩვენს პარტიაში ძალიან ბევრია და საუკეთესო პროექტებს დებს. თუნდაც, 2012 წელს ყველაზე უკეთესი პროგრამა წარმოვადგინეთ. თუ შემდეგ გაკეთდა საქმე, ლომის წილი ჩვენი პროგრამიდან გახლავთ. აი, თუნდაც, C ჰეპატიტთან დაკავშირებული პროგრამა ჩვენი პარტიიდან წამოვიდა. რაც შეეხება პოპულისტურ დაპირებებს _ გაზი, დენი... არ იყო ჩვენი პარტიიდან. იცით, საიდანაც იყო და ვერ შესრულდა. რაც შესრულებადია, ყოველთვის მზად ვართ ასეთ საკითხებზე.

**_ მიუხედავად ამისა, წლების მანძილზე თქვენმა პარტიამ ვერ შეძლო, ხელისუფლებაში მოსულიყო.** _ ეს პარტიის პრობლემაა, მაგრამ საზოგადოების პრობლემაც არის. იმ თვალსაზრისით, რომ ხალხი უნდა მიგიხვდეს, რა გინდა. ყველამ, ბებია პელაგიამაც უნდა გაგიგოს, ომში წასულმა გიორგი მახარაშვილმაც და სახლში დარჩენილმა მუშა გლეხმაც. ჩვენი სისუსტე ისაა, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ძალიან აკადემიური ლექსიკონებით, რასაც უმეტესობა ვერ იგებს. ცოტა გახალხოსნებაა საჭირო. ამას კი დიდი ენერგია სჭირდება და არამარტო ენერგიაც. პარტიის ყოფილი თავმჯდომარეებიდან ბევრმა ვერ მიაღწია თავის მიზანს და სხვაგან გადაინაცვლა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როცა პარტია ძალიან ნაკლები ზრდის ტენდენციას ავლენს და რეიტინგი 2 პროცენტამდეა წლების განმავლობაში, ეს პარტიის სისუსტეა. ვერ დავადანაშაულებ ცენტრალურ ოფისს, გუნდის სათაო მენეჯმენტს. ისინი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ, ზოგადად, ეს ქართული პოლიტიკის პრობლემაა. ზოგისთვის საქილიკოც გახდა, რომ ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით, ნებისმიერ პარტიამ ერთი დეპუტატის გაყვანა შეძლოს პარლამენტში. ეს იქნებოდა დემოკრატიისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი, განსხვავებული აზრებია საჭირო იქ. საზოგადოებაში ცნობადი სახეები, რომლებიც პოლიტიკაში ნაკლებად ერკვევიან, ჯობია, სხვა პარტიებიდან ჩაანაცვლონ პოლიტიკოსმა დეპუტატებმა. ყველა პარტიას თავისი პროგრამისა და მიმართულების შეტანა უნდა შეეძლოს. არავის აქვს მზა რეცეპტი, რითაც სრულიად მოსახლეობას მოაწონებს თავის შეხედულებებს. არჩევნებიც ამაზეა, ყველა ირჩევს თავისნაირს. შემდეგ საყვედურები ამომრჩევლის შეცდომად მიმაჩნია. თუ ირჩევ, მიიღე ისეთი, როგორიც აირჩიე.

**_ მიუხედავად ამისა, ხალხი ყოველი არჩევნების შემდეგ იმედგაცრუებაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

_ განვლილი წლები გვიჩვენებს, რომ ასეც მოხდარა. დაპირებების ასრულება სრულად არასოდეს ხდება. თვით ისეთ ზუსტ მეცნიერებაში, როგორიც ფიზიკაა, არ შექმნილა ტექნიკური დანადგარი, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი 100 პროცენტი იქნება, მაქსიმუმ, 55-60. ასეა პოლიტიკაშიც. დროის დინება და ახალი გარემოებები ახდენს გავლენას ძველ დაპირებებზე. სამწუხაროდ, ხალხი ვერ ამჩნევს ისეთ რაღაცეებს, რასაც არ პირდებოდნენ, მაგრამ გაკეთდა. ასე რომ, საბოლოოდ მაინც დაბალანსებული ხდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მოღვაწეობა.

**_ მაგრამ არის რევოლუციები, რომლის მოწმე ჩვენ გავხდით. როცა დაბალანსებაზე საუბრობთ ალბათ, ვერ დაგეთანხმებით.**

_ პირადად მე, არც შეიარაღებული და არც ხავერდოვანი რევოლუციების მხარდამჭერი არ ვიყავი. უმჯობესია, ევოლუციურად განვითარდეს საზოგადოება, ანუ დაიწუნონ ვინც არ მოსწონთ და აირჩიონ უკეთესი. ცუდი არჩევანი კარგი ამომრჩევლის ბრალია, იმ ამომრჩევლისა, რომელიც არჩევნებზე აღარ დადის. ეს სიტყვები ჩემი არ არის, მაგრამ სრულად ვეთანხები, ე. ი. ვინც სწორ ანალიზს გააკეთებს, ხშირად სახლში ზის და არ მიდის არჩევნებზე. შედეგად გვაქვს ის, რაც გვაქვს.

**_ შეგიძლიათ, მითხრათ, თვითმმართველობის არჩევნებში თქვენ ვის დაუჭერთ მხარს?**

_ მე, როგორც მემარჯვენემ, უნდა მოვიწონო გამოკვეთილი პოზიციებზე მყოფი 41, 5 და 2 ნომერი პარტიები, რადგან მემარჯვენეები არიან. თუმცა, 5 ნომერზე ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე მემარჯვენეა. სიტყვა და საქმის მიხედვით ჩემი სიმპათიები 41 ნომრისკენ იხრება. შეიძლება, როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ვთქვა, რომ ცოტა ზოზინით, მაგრამ ყველაფერს სწორად აკეთებენ. ზოზინით, რადგან ნებისმიერი საერთაშორისო თუ სხვა შეხვედრების შემდეგ უცებ განათდება, ეგებ ხვალ, ზეგ და მერე მაინც ნელა მიდის საქმე. ერთ მაგალითს მოვიყვან. ორიოდე კვირის წინ ბაქოში აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ჩატარდა. ამ შეხვედრას გამოეხმაურა არაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამ გამოსვლით გავიგეთ. და ძალიან მომეწონა, რომ აფხაზები ქართველებთან საუბარს არ გაურბიან მითუმეტეს, ამ დღეებში ნიუ-იორკში ასამბლეაზე მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლობამ დაგმო რუსეთის მოძალადეობრივი პოლიტიკა და ჩვენს რეგიონში მშვიდობას დაუჭირა მხარი. განსაკუთრებით საყურადღებო იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრის გამოსვლა.

ჩემი მეგობარი ლევან ჯინჭარაძე, რომელიც ასევე ჩემი მეგობრის, თამაზ ნიკურაძის დეიდაშვილია, წლებია, კონფლიქტების თემაზე მუშაობს. აქვს ძალიან კრეატიული ხედვა. იგი ზედმიწევნით კარგად ფლობს აფხაზეთის პრობლემის სიღრმესა და სიმწვავეს, აფხაზი ეთნოსის ფსიქოლოგიას, რადგან ლესელიძიდანაა. იქ მას ბევრი აფხაზი ახლობელი ჰყავს. პირველად დაიწყო აფხაზეთით, მერე, საქმემ მოიტანა და მუშაობა გააგრძელა სამაჩაბლოსა და ყარაბაღის პრობლემებზე. ეს სამი პროექტი გააერთიანა და უნდა გადაიგზავნოს მაქს ბლანკის ფონდში (ამ საქმეში გვაქვს ცნობილი ფიზიკოსის, გია დვალის იმედი გვაქვს). ფონდი სამშვიდობო პროექტებს აფინანსებს და კავკასიის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში ლევან ჯინჭარაძე ეპიცენტრში აღმოჩნდა. მას ძალიან ძლიერი პროექტი აქვს. კონფლიქტის ყველა მონაწილე _ ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი _ მისი ინტერესსუბიექტები არიან. ვერც თურქეთი, რუსეთი, ევროპა და ამერიკაც კი, ვერ იტყვის არას ამ პროექტის ტექნოლოგიაზე. მე ღრმად ვარ ჩახედული ამ პროექტში, ბატონ ლევანს ციფრების დამუშავებაში დავეხმარე. იგი ამბობს, რომ ეს პროექტი მისი კი არა, მთელი საქართველოსია, რაც მეტი ადამიანი ჩაერთვება მასში, მით უკეთესი იქნება. ბოლო პერიოდში გააქტიურდნენ აზერბაიჯანელი პოლიტოლოგები და ამ თემასთან დაკავშირებით აქვთ მიმოწერა. ბატონმა ლევანმა არაერთხელ მიმართა პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის ჩემს პოლიტიკურ პარტიასაც, მაგრამ პასუხი ვერ მოუმზადეს. მაშინ დიდი ფუსფუსი ჰქონდათ თავმჯდომარის პოსტის დატოვებასთან დაკავშირებით. თუმცა, მერე კი მოუბოდიშეს.



**_ ოპოზიციური ძალები ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ მსგავსი პროექტები, რაც აფხაზეთსა და ოსეთს დაგვიბრუნებს, არ გააჩნია. ეს პრობლემა არსებობდა წინა ხელისუფლების დროსაც. როგორ ფიქრობთ, ეს, თქვენებურად რომ ვთქვათ, ეს "ზოზინის" შედეგია, თუ ამ ეტაპზე მწვავედ არ დგას საკითხი?**

_ აუცილებლად დაბრუნდება აფხაზეთიც, ოსეთიც და ყარაბაღშიც დამყარდება მშვიდობა.

ლევან ჯინჭარაძემ ბევრ ვინმეს მიმართა, ბევრი კარი შეაღო, ბევრ ცნობილ პიროვნებას ესაუბრა, ის უკრაინის ელჩსაც შეხვდა, რადგან ყირიმის კონფლიქტზეც აქვს უმაღლეს დონეზე დამუშავებული კონცეფცია. იგი შეეხმიანა ჰააგაში, ბერლინში, პარიზში ამა თუ იმ პერსონას. ის ძალიან მებრძოლი, კრეატიული, უნიჭიერესი ადამიანია. კონფლიქტების მოგვარების საკითხში მას აქვს კომპრომისების თეორია.

ბატონი ლევანი თავის პროექტთან დაკავშირებით შეხვდა თბილისში მყოფ 2015 წლის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს, სვეტლანა ალექსევიჩს.

ბატონი ლევანი პატრიოტი ადამიანია, ამბობს, რომ თანახმაა, ვისაც უნდა, მიისაკუთროს მისი პროექტი, ოღონდ კი, აფხაზეთში დაბრუნდეს.

დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებამდე პირველად იქ მცხოვრები ჩვენი თანამოძმეები უნდა დავიბრუნოთ და მერე იმ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ.

**_ ისევ არჩევნების თემას დავუბრუნდეთ, "ქართული ოცნების" სიმპათიებს თქვენი პარტიაც იმსახურებს, თუ დამოუკიდებლად წყვეტთ, ვის მხარეს დადგეთ?**

_ ჩვენ ამ ეტაპზე რიგითი ამომრჩევლები ვართ. თუკი ამომრჩევლები ვართ, ვისაც გვინდა, იმას მივცემთ ხმას. თუ არჩევნები ფარულია, ისიც ჩვენი ნებაა, ხმამაღლა ვთქვათ, ვის ვაძლევთ ხმას. მეგობრები მე ყველა პარტიაში მყავს. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს გივი ღაღანიძესთან, ავთანდილ სტურუასთან. ჩემი მეგობარია კამო კანდელაკი. ჩემი მეგობრების ოჯახშია აღზრდილი მამუკა ბიბილეიშვილი. ღიად ვიტყვი, რომ ვალერი ფოცხვერია შეუცვლელი იქნება, მოიგებს კიდეც!

## "ფაროსანას გასანადგურებლად მოსახლეობის მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო"

მთავრობა კრიტიკას არ ღებულობს. ადგილობრივი ხელისუფლება დაბეჯითებით ირწმუნება, რომ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლა დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტში დროულად მოხდა.

18 სექტემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა თემებში გამგებლის წარმომადგენლებისთვის და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისთვის ტრენინგ-შეხვედრა გამართა, სადაც მამუკა კვანტალიანმა დამსწრე საზოგადოების ყურადღება იმაზე მიიპყრო, თუ რას აპირებს სამომავლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აზიური ფაროსანას დასამარცხებლად. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა მოკლედ ისაუბრა მავნებლის წარმომავლობასა და საქართველოში მისი გავრცელების არეალზე. მან თავის გამოსვლაში აუდიტორიას დეტალურად გააცნო მავნებელზე კომპლექსური ღონისძიებების გატარების მეთოდები.

სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ბიჭიკო მეგრელიშვილმა მექანიკური ბრძოლის მეთოდებზე ისაუბრა, რაც, ძირითადად, ხელნაკეთი ხაფანგების დამონტაჟებას გულისხმობს.

"ფაროსანას გასანადგურებლად მოსახლეობის მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო". _ მამუკა თავაძემ 18 სექტემბერს მსგავსი თხოვნა-დავალებით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას და მოუწოდა, გამგებლის წარმომადგენლებმა მოსახლეობაში მეტი აგიტაცია გასწიონ.

ტრენინგზე ითქვა, რომ მთავრობა გეგმავს, თითოეულ კომლს ერთი ლიტრი ინსექტიციდი გამოუყოს, რომელიც საკმარისია 1,8-2 ჰექტარი ფართობის შესაბამისად. ამ პრეპარატით მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, საკუთარი კარმიდამო შეწამლოს.

გარდა ამისა, განსაზღვრულია, მოსახლეობაში განთავსდეს დამჭერი ფერომენის შემცველი ბადეები, ხოლო მასიური ფართობების, ქარსაფარი ზოლების, ბუჩქნარებისა და ტყეების შეწამვლა სახელმწიფოს რესურსებით განხორციელდება.

ნინო ნანიტაშვილი



უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ნაბიჯი ევროპისაკენ





**ლევან გაბეჩავა**

''XXI საუკუნის ევროპული ქვეყანა რომ გავხდეთ, აღარ უნდა დავკარგოთ დრო, ქვეყანა წინ უნდა წავიდეს, უნდა დავწიოთ გადასახადები, შევქმნათ სამუშაო ადგილები, გავაჩინოთ პერსპექტივის განცდა, დავამსხვრიოთ უიმედობა.

საქართველოს ყველა პენსიონერს რაიონის ბიუჯეტიდან დაენიშნება დანამატი 20-დან 50 ლარამდე''...

ეს და სხვა მსგავსი ფრაზები 11 სექტემბერს მომავლის პარკის მიმდებარედ შეკრებილი მხარდამჭერების წინაშე გააჟღერა პარტია ''ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო, მოძრაობა თავისუფლებისათვის'' ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ. მანვე შეკრებილთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად ავთანდილ სტურუა შესთავაზა. ავთანდილ სტურუა გამოცდილი კადრია. დემოკრატიულად, მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მივაღწიოთ ქვეყნის კეთილდღეობას. – აღნიშნა დავით ბაქრაძემ და შეკრებილთ მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ავთანდილ სტურუას – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატს.

– სამტრედია და სამტრედიელები იმსახურებენ ღირსეულ ყოფას, ღირსეულ პენსიებს, სოციალურ დაცვას, სამტრედიას სჭირდება მმართველი, რომელიც არ იქნება არც სუსის, არც კუდის, არც არავის სათამაშო, საბიუჯეტო ხარჯები მხოლოდ სამტრედიელთა კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, ჩვენ ამას შევძლებთ, მხოლოდ ერთად დგომით, ერთიანი ძალით. – მიმართა შეკრებილთ ავთანდილ სტურუამ და იქ მყოფთ ქალაქ სამტრედიაში, დაბა კულაშსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მაჟორიტარობის კანდიდატები წარუდგინა.

ქალაქში ჟუკიანა ფოფხაძე, თამარ ახობაძე, ბეჟან ბაკურაძე, გივი ჯულაყიძე, დაბა კულაშში გაგა ოჩხიკიძე, ნაბაკევში გიორგი შენგელია, ღანირში გიორგი გვალია, მელაურში გოჩა ადეიშვილი, ეწერში თემურ კახიანი, იანეთში კობა თვალავაძე, დიდ ჯიხაიში ზაზა ახობაძე, ბაშში მარინა ხაზარაძე, გომში ზაზა მეგენეიშვილი, ტოლებში, სერგო ლორია, საჯავახოში დათუნა ქორიძე იბრძოლებენ მაჟორიტარობისათვის.

# ტახტზე ჯდომაა ადვილი, დავითობაა ძნელი!



**ლევან გაბეჩავა**

***სამი წელიც გავიდა და...***

***ქვეყანა კვლავ არჩევნების რეჟიმში ცხოვრობს. შედარებით აგრილდა, თუმცა, პოლიტიკური კლიმატი მაღლა იწევს.***

***21 ოქტომბერს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებია დანიშნული.***

***რას ველით ნაარჩევნებს?***

***დღეისათვის, ძირითადად, ცნობილი არიან უკვე ნაცნობი თუ ახალი სახეები, თავი ხალხის სამსახურად რომ გადადეს.***

ვსარგებლობ საყოველთაოდ აღიარებული გამოხატვის უფლებებით და ჩემი, როგორც რიგითი ამომრჩევლის აზრი მინდა ამჯერად გავახმიანო.

აქვე ვიტყვი, ის, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლებს ამიერიდან მუნიციპალიტეტის მერები ერქმევათ, ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ.

და მაინც როგორი მერი გვსურს მუნიციპალიტეტის თავკაცად?

რაღა თქმა უნდა, განათლებული, პოლიტიკაში ჩახედული, ინიციატივიანი, მრავალთა აზრის მომსმენი და საღი აზრის გამტარებელი, სამეურნეო საქმის გაძღოლის მცოდნე, მუნიციპალიტეტის გულშემატკივარი და ა. შ.

როგორი უნდა იყოს თემის, სოფლის თავკაცი?

რაღა თქმა უნდა, მასაც ყველა ზემოთ აღნიშნული თვისება უნდა გააჩნდეს.

უნდა უყვარდეს სოფელი და თანასოფლელები.

უნდა იცნობდეს მათ ტკივილსა და გასაჭირს, სიხარულს.

ერთი ცნობილი სხარტულა, გნებავთ, ანეკდოტად ნათქვამი ამოტივტივდა გონებაში: გურიაში სოფლის მცხოვრებლებმა რაიონის თავკაცს შესჩივლეს, სოფელში ესა და ეს პრობლემა გვაქვს და მოგვიგვარეთო. გაბრაზდა თურმე რაიონის თავკაცი, თქვენ სოფლის ხელმძღვანელი, სოფლის თავი გყავთ, იმას მიმართეთ, მე რატომ მეუბნებითო.

– ბატონო, თავი ლურსმანსაც აქვს, მაგრამ თუ თავში არ ჩაარტყი, ისე ფიცარში არ გავაო. – უთქვამს ერთ ენამოსწრებულ გურულს.

მიმიხვდით უთუოდ რასაც ვგულისხმობ.

სოფელში ქარი ხეს რომ წააქცევს და სოფლის თავკაცი იმის მობილიზაციას რომ ვერ გააკეთებს, თანასოფლელებს რომ ვერ აიყოლებს ჩახერგილი გზა გაწმინდოს...

უფლებამოსილების ერთ ვადას რომ ამოწურავს სოფლის თავკაცი და თანასოფლელებს ერთ საქმიან წინადადებასაც ვერ შესთავაზებს...

40-50 წლის სტაჟის მქონე ექიმი, პედაგოგი რომ გარდაიცვლება სოფელში და სოფლის თავკაცი დაკრძალვას ''მოუცლელობის'' გამო რომ ვერ (არ) დაესწრება...

თანამედროვე კომუნიკაციების, ტექნიკური პროგრესის ერაში სოფლის თავკაცს სოფლის ადმინისტრაციული სახლის წინ გამავალ ელექტროგადამცემ ხაზზე გახვრეტილი აგური რომ უკიდია, მავთული მავთულს რომ არ შეეხოს...

უფლებამოსილების ვადაში სოფლის თავკაცს სურვილი რომ არ გაუჩნდება სოფელში არსებული ვითარების შესახებ, საკუთარ საქმიანობაზე ერთხელ მაინც ისაუბროს მედიის საშუალებით...

ერთხელაც რომ არ შეხვდება ამომრჩევლებს უფლებამოსილების ვადაში და კვლავ მხარდაჭერას ითხოვს...

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე, რიგითი ამომრჩეველი მართლაცდა, უნდა დავფიქრდე, მივცე თუ არა ხმა...

ვიცით, გვწამს, გვჯერა, რომ ცალკე აღებული ვერც ერთი სოფელი, თემი, მისი თავკაცი ვერ გააფორმებს საერთაშორისო მემორანდუმს, ვერ დაამყარებს მეგობარ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ურთიერთობებს, მაგრამ საქართველოს ყველა სოფელში თავსაყრელადაა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უპრობლემოდაა შესაძლებელი სოფლის თავკაცების უნარიანად ხელმძღვანელობის შემთხვევებში.

სისტემამ სოფლის თავკაცები ოდენ ინფორმაციის მიმტანებად არ უნდა აქციოს ცენტრსა (რაიონსა) და სოფელს შორის.

არის, უფრო სწორად არიან დედამიწაზე ისეთი სახელმწიფოები, სადაც მოსახლეობა იმდენი, ოდნავ მეტი ან ნაკლებია, რამდენი მცხოვრებიც სამტრედიის მუნიციპალიტეტშია...

ამდენად, დიდზე დიდია მისია, პასუხისმგებლობა რომლის წინაშეც საკუთარ თავს აყენებენ საქართველოში ცალკეულ ქალაქთა, მუნიციპალიტეტთა მერობის კანდიდატები.

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა ღირსეულ კანდიდატს, ვინც სუფთა ხელებით, სუფთა სინდისითა და მხურვალე გულით, საქმის კეთების ჟინით იბრძოლებს ერთობ რთული და საპატიო, საპასუხისმგებლო თანამდებობებისათვის.

რა ხატოვნადაა ნათქვამი: ''ტახტზე ჯდომაა ადვილი, დავითობაა ძნელი''.

# 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი

## გვახსოვს აფხაზეთი




**ლევან გაბეჩავა**

1993 წლის 27 სექტემბერი...

სოხუმი დაეცა...

მანამ კი, მანამ იყო სისხლისმღვრელი ომი 13 თვესა და 13 დღეს რომ გრძელდებოდა.

ომი ომისთვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსით მიმდინარეობდა და შედეგიც ომისათვის ლოგიკური დადგა:

დევნილები,

დაჭრილები,

დახოცილები...

განვლილი 24 წლის მანძილზე ყველა ხელისუფალი და შესაბამისად ხელისუფლება, ასე თუ ისე, ცდილობდა და ცდილობს აფხაზეთის დაბრუნებას, დევნილთა დაბრუნებას აფხაზეთში, მაგრამ...

ომი იყო აფხაზეთში.

სისხლისმღვრელი,

უსამართლო,

უთანასწორო.

იყო ჭუბერი, ყინვა, შიმშილი.

იყო აფხაზეთი ჩვენი.

თუმცა, არათუ იყო, აფხაზეთი ჩვენია, განუყოფელი ნაწილია საქართველოსი.

ფაქტები? რამდენიც გნებავთ!

მსოფლიო პირველ საეკლესიო კრებაში საუკუნეთა წინ მონაწილეობას ღებულობდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი სტრატოფილე მეორე, მაშასადამე, მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ეკლესია, საქართველო.

ერთ-ერთი უტყუარი, ეჭვშეუვალი მტკიცებულებაა მოხმობილი ფაქტი, საქართველო-აფხაზეთის ერთიანობისა, განუყოფლობისა.

ახლა ქართულ-აფხაზური მეგობრობის ცალკეული ეპიზოდები...

...

ჯიუტი ოპტიმიზმით გვწამს აფხაზეთის დაბრუნების, აფხაზეთში შესვლის.

ომმა გმირები წარმოშვა. მათ შორის უთვალსაჩინოესი გახლდათ ჟიული შარტავა, საქართველოს ახალგაზრდების ყოფილი ლიდერი. გმირობისა და თავგანწირვის არნახული მაგალითი რომ გვიჩვენა მტერსა და მოყვარეს.

პერიოდულ პრესაში ამოვიკითხეთ ამ დღეებში, ბატონი ჟიულის მშობლიური სახლი იყიდება, თურმე, ვინ იცის რატომ, რა გასჭირვებია ოჯახს.

იქვე წერილის ავტორი თხოვნით მიმართავდა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და შესაბამის მუნიციპალიტეტის გამგეობას, გამოესყიდათ სახლი, რომელშიც გაიზარდა ბატონი ჟიული და არაერთი ღირსეული პიროვნება, მათ შორის (როგორც წერილშია ნათქვამი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პირადი ექიმი, ქალბატონი ცისანა შარტავა.

თუ ასე მოხდება, ყოველივე ბატონი ჟიულის ხსოვნისადმი პატივსაცემად იქნება აღიარებული.

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი.

გვახსოვს აფხაზეთი!

# ჩვენ დავბრუნდებით!

მენატრები, ჩემო სოფელო და მერე როგორ!.. ამ მონატრებას სულის ტკივილი, იმედის გაცრუება ჰქვია.

აფხაზეთო ჩვენო და ჩვენო ლამაზო სოფელო ჩინო – ჩემო მშობლიურო და საამაყოვ! ამ პატარა სოფელში ღვთისმშობელს რამდენი დედისთვის უბოძებია ნიჭი, რომ გმირებად ღვთისა და სამშობლოს სიყვარულში აღეზარდათ შვილები.

ვინ იფიქრებდა, დადგებოდა დრო მწუხარებისა, მავანი წალკოტად ქცეულ სოფელს ნასახლარად აქცევდა, ''ლილეს'' და ''მრავალჟამიერს'' მგლის ყმუილი დაფარავდა.

წყვდიადში ჩაძირულ სოფელს გულში ჩაუკრავს ბრძოლის ველზე მოწყვეტილი ბიჭები. ნუგეში მათი საფლავებია, საფლავები, რომელზედაც ეკალ-ბარდთან ერთად ''იები'' ჰყავის. ეს იმ დედების ცრემლებია, რომლებიც წლების მანძილზე ნატრობდნენ შვილების საფლავების ნახვას. ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ნატვრა ნატვრად დარჩათ.

უფალი არ გაგვწირავს: რაც არ შეუძლია მოკვდავს, შეუძლია უფალს. ჩვენ დავბრუნდებით, მუხლს მოვიდრეკთ თქვენს საფლავებთან და დაგვიანებისთვის პატიებას გთხოვთ.

*ნაირა ჭელიძე*

# საყოველთაო დასუფთავების კამპანიას სამტრედიაც შეუერთდა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტი, რამდენიმე წელია, აქტიურად არის ჩართული ტრადიციადქცეულ დასუფთავების აქციაში. არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის მიერ შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით საქართველოში ხორციელდება პროექტი "დავასუფთავოთ მსოფლიო, დავასუფთავოთ საქართველო", რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ტარდება დასუფთავების ფართომასშტაბიანი კამპანია. მორიგ აქციაში ჩაერთვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ააიპ-ების თანამშრომლები. როგორც გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ბეჟან გეგეშიძემ "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა, დასუფთავების ლოკაციად განსაზღვრული იყო ფარნავაზის, ლაშა თევზაძის, დიდგორისა და კოსტავას ქუჩები, მაგრამ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლისა და გამგებლის პირველი მოადგილის, დავით ბახტაძის მონდომებით აღნიშნულ ლოკაციებს სამტრედიის დენდროლოგიური პარკიც დაემატა. გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძე წლებია სტუმრობს და ასუფთავებს ნაბაკევის თემის სოფელ ხუნჯულაურის ტერიტორიაზე ბუნებრივი წყაროს მიმდებარე ტერიტორიას. დასუფთავების მარშრუტს ეს ადგილი ახლაც დაემატა. ბატონი როსტომი საგანგებოდ, ამ აქციის ფარგლებში მომზადებული მაისურით ცხადდება ყველა მსგავს აქციაზე, მან ტრადიციას არც ამჯერად უღალატა: "ეს ტერიტორია ძალიან ხშირად ბინძურდება, არადა, ულამაზესი ადგილია, ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები სიამოვნებით ვუერთდებით დასუფთავების საყოველთაო კამპანიას და ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის დასუფთავებაში".





როგორც დავით ბახტაძემ "სამტრედიის მაცნეს" განუცხადა, არათუ დასუფთავების, არამედ, სამომავლოდ, ტურისტულ მარშრუტში ჩასმის პერსპექტივაც აქვს სამტრედიის დენდროლოგიურ პარკს, რომელიც სოფელ ილორის ტერიტორიაზე მდებარეობს.





დავით ბახტაძე: " წლების მანძილზე დენდროლოგიური პარკი უყურადღებოდ იყო დარჩენილი, არ ჰყავდა მეპატრონე, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის პერიოდიდან მისი მოვლა-პატრონობა გადავეცით კეთილმოწყობის გაერთიანებას, ამ ტერიტორიაზე გაშენებულია უნიკალური ჯიშის ხეები, თავის დროზე არაჩვეულებრივი ადამიანი, ბატონი ვლადიმერ კახიანი უვლიდა ამ პარკს, შესაბამისი განაშენიანების გეგმა ჰქონდა. ამ ტერიტორიაზე გაშენებული უნიკალური ხეები უყურადღებოდ იყო დარჩენილი, მას შემდეგ, რაც კეთილმოწყობის გაერთიანებას გადაეცა, იგი პერიოდულად სუფთავდება, ხდება ხე-ბუჩქნარის გაკრეჭა. დიდი სურვილი გვაქვს, მოკლე ხანში განვახორციელოთ ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება, სამტრედიაში და ერთ-ერთ ლოკაციად გვინდა, დენდროლოგიური პარკიც შევიდეს. ამასთანავე, გვსურს, ეს პარკი ისე მოვაწყოთ, ტურისტებისათვის სასურველი გარემო შევქმნათ."

# ადგილობრივ თვითმმართველობასთან წარმატებულად ითანამშრომლეს

ნათია ნაცვლიშვილი

***მუნიციპალიტეტის მეათე საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ თევზაძე) სამოქალაქო კლუბელთა აქტიურობის შესახებ არაერთხელ გვიცნობებია მკითხველისათვის. ახლახან სამოქალაქო კლუბის წევრებმა, მეათე კლასის მოსწავლეებმა ნათია ჯიბაშვილმა და მაია ფოცხიშვილმა საინტერესო კონკურსში გაიმარჯვეს, შემდგომ ეტაპზე კი, წარმატებულად ითანამშრომლეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რასაც სკოლისათვის სასიკეთო ცვლილება მოჰყვა.***

საქართველოში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 2015 წლიდან ახორციელებს პროექტს "საქართველოს მოხალისე", რომლის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდობაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება მოხალისეობის გზით, საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია და მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება. აღნიშნული პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია იმერეთში არის "ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი". ყოველწლიურად თითოეული მუნიციპალიტეტიდან კონკურსის საშუალებით შეირჩევა ორი მოსწავლე. წლეულს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მეათე სკოლის 2 მოსწავლე შეირჩა. კონკურსში გამარჯვებულმა მეათესკოლელმა გოგონებმა გაიარეს ოთხდღიანი ტრენინგ-სემინარი შემდეგ თემებზე: მოხალისეობა, კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, საჯარო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ფორმები, პროექტების წერა, ფონდების მოზიდვა და მოხალისეობის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. აღნიშნული ტრენინგ-სემინარების შემდეგ ნათია ჯიბაშვილმა და მაია ფოცხიშვილმა წერილობით მიმართეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიას, სადაც ითხოვდნენ ასწლოვანი სკოლის ქვითკირისა და ლითონის კონსტრუქციით შემდგარი ღობისა და ჭიშკრის შესაღებად ფინანსურ მხარდაჭერას. მოსწავლეების თქმით, ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში გალამაზდებოდა არამარტო სკოლა, არამედ, ქუჩა, სადაც სკოლა მდებარეობს და ეს გამოიწვევდა არა მარტო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგების, მოსახლეობის კმაყოფილებასაც. მოსწავლეებს კი გაუჩნდებოდათ ნდობისა და მხარდაჭერის განცდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. ხელისუფლების მხარდაჭერამ არ დააყოვნა, საქმეში სკოლის სხვა მოსწავლეებიც ჩაერთნენ და ინიციატივა უკვე საქმედ იქცა. როგორც სკოლის სამოქალაქო კლუბის კურატორმა, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის პედაგოგმა, ეკატერინე ფოცხვერიამ გვითხრა, კლუბის წევრები სამომავლოდ არაერთ საინტერესო პროექტს განახორციელებენ.



# სამტრედიაში უგულებელყოფილი ინიციატივა



თეა ბაბუნაშვილი

ინიციატივა განათლების სამინისტროს ეკუთვნის და იგი წლევანდელია. ჯერ კიდევ 6 თვის წინ პირველად შედგა დირექტორთა საბჭოს არჩევნები, რომელიც რეგიონების მიხედვით საკუთარ რჩეულს აძლევს ნდობას საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. დირექტორთა საბჭოს საქმიანობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და პროექტების ცვლილებების პროცესებში ჩართულობა, ინფორმაციის ურთიერთგაზიარება და პრობლემური საკითხების მარტივად მოგვარების გზების შეთავაზებაა. რადგან თითო მოწვევის სამთვიან პერიოდს მოიცავს, უკვე მეორედ განათლების და მეცნიერების მინისტრის სათათბირო წარმომადგენლობითი გაერთიანება _ დირექტორთა საბჭოს პირველი მოწვევის შემადგენლობამ მუშაობა უკვე დაასრულა. დირექტორთა საბჭოს დაკომპლექტების სქემა, საქართველოს ყველა რეგიონიდან და ქალაქიდან წარდგენილი რჩეული დირექტორების ერთ საბჭოდ გაერთიანებაა. საბჭო რეგიონის საჯარო სკოლებიდან წარდგენილი 11, დიდი ქალაქების საჯარო სკოლებიდან 3, დედაქალაქიდან _ 5, მაღალმთიანი რეგიონების სკოლებიდან _ 2, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლებიდან _ 1, კერძო სკოლებიდან _ 5, სპეციალიზებული სკოლებიდან _ 1, ეროვნული უმცირესობის სკოლებიდან _ 1, პროფესიული სკოლებიდან _ 1 წევრის წარდგენით კომპლექტდება. საბჭოს წევრად შერჩევა ხდება პირდაპირი არჩევნების გზით. არჩევნები სამ ეტაპად ტარდება და მოიცავს კანდიდატურის წარდგენა-რეგისტრაციას, ხმის მიცემა-კენჭისყრას, ხმების დათვლას და გამარჯვებულის გამოვლენას.

არჩევნების მონაწილე ყველა საჯარო და კერძო სკოლის დირექტორი და მისი მოვალეობის შემსრულებელი პირია. ყველა მათგანს თითო ხმის უფლება აქვს. აგრეთვე, უფლება აქვთ, საკუთარი კანდიდატურა დააყენონ და ხმა მისცენ მხოლოდ თავის კატეგორიაში. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა რამდენიმე კატეგორიას აკმაყოფილებს, ანუ რეგიონის საჯარო სკოლა იმავდროულად მაღალმთიანის ზონისაცაა და სასაზღვრო გამყოფ ხაზთანაც ახლოა, კანდიდატურა მხოლოდ ერთი ნომინაციის მიხედვით უნდა დარეგისტრირდეს. ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ეძლევა კანდიდატს, რომელიც დროის მიხედვით უფრო ადრე მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას. დირექტორთა საბჭოს მუშაობა ანაზღაურებადი არ არის, სამუშაო კი საკმაოდ შრომატევადია.

მეორე ეტაპზე დირექტორთა საბჭოს მსურველ წევრთა რეგისტრაცია უკვე დასრულებულია. როგორც გაირკვა, საბჭოს როგორც პირველ, ასევე მეორე არჩევნებზე, საკონკურსოდ სამტრედიის არც ერთი საჯარო სკოლის დირექტორი არ დარეგისტრირებულა.



# სწავლის მწარე ძირის კენწეროში გასატკბილებლად

**თეა ბაბუნაშვილი**

***შემოდგომისფრად აფერადებული სექტემბრის დილა სიცოცხლით ახმაურებულ ქუჩებში მზის ღიმილად მიმოიფანტა. ახალი სასწავლო წლის პირველივე დღეს ჩანთიანი გოგო-ბიჭები მერხებისკენ მიიჩქაროდნენ საკუთარ ბავშვობასთან კვლავ შესახვედრად.***

***საოცარი და საკვირველი გადაიშალა სამყარო პირველკლასელებისთვის დიდი ფანჯრებით ფართოდ თვალგახელილ შენობაში, სადაც დედა პირველმა მასწავლებელმა ჩაანაცვლა, ძალიან ლამაზმა და ალერსიანმა. ასე დაიწყო ახალი სასწავლო წელი, ახლებური სუნთქვა რომ ჩაბერა ქალაქს და სოფელს, მთასა და ბარს, ქუჩას და ორღობეს. ახლა მონდომების, წიგნთან მეგობრობის დროა სწავლის მწარე ძირის კენწეროში გასატკბილებლად. ზაფხულის სიწყნარეგამოვლილი სკოლის ეზო ევებებოდა მონატრებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მისი ჟრიამულით გაოცებულ პირველკლასელებს.***

***ასეთი იყო სექტემბრის ნაფერები დილა ყველგან, საქართველოს ყველა სკოლაში.***

## დილა საუკუნოვანი ზარის წკრიალით

ასე დაიწყო დღე სამტრედიის მე-10 საჯარო სკოლაში. ახლა მოდაში შემოსული ფლეშ-მობი უფროსკლასელებმა სკოლის წინ, მყუდრო და პატარა ქუჩაზე გამართეს. მერე ყველამ ერთად სკოლის ეზოში მოიყარა თავი და მშობლებთან, მონატრებულ მასწავლებლებთან და მეგობრებთან ერთად ცამდე ასული სიმღერითა და ლექსით გააგრძელეს საგანგ-



ებოდ დადგმული სანახაობა.

16-მა პირველკლასელმა შეაღო საუკუნეს გატოლებული ამ სკოლის კარი ახალ სასწავლო წელს. განსაკუთრებული სანახაობა მოეწყო მათთვის, უფრო სწორად, მათ მოაწყვეს მშობლების, მასწავლებლების და სკოლის სტუმრებისთვის. პატარების გულწრფელობით მიესალმნენ ყველას და ბავშვური რიხი გაურიეს ხმაში ფერადი ლექსების წაკითხვისას. "გიყვარდეს წიგნი და შენი ვალი ყოველ ნაბიჯზე გემახსოვრება." _ ჯერ კიდევ ანბანის შესწავლამდე ასწავლეს იმ პატარა ბიჭს, ამ სიტყვებს რომ ამბობდა სცენიდან. მერე იმ ძნელად სასაუბრო საკითხსაც "მიულექსეს", ქვეყნისთვის პრობლემათა პრობლემა რომ გახდა უკვე არაერთი წელია და რომელმაც საშოვარზე გადაგებული მშობლები შვილებს დააშორა. ამ სიტყვებს ბავშვური გულისტკივილი აშკარად თუ შეფარვით ახლდა თან _ "თუ მოვიკრიბეთ გაფანტული ემიგრანტები, მათ სადღეგრძელოს ღვინით დალევს სუფრის თამადა!"



სანამ საგანგებოდ მორთულ საკლასო ოთახში მერხებს პირველად მიუსხდებოდნენ, რომელზეც სახელმწიფოს საჩუქარი, წიგნები და "ბუქები" ელაგა, სკოლის ვესტიბიულში სიურპრიზად ვარსკვლავი გაუხსნა მათ პირველმა პედაგოგმა ირმა ნამჩავაძემ. სადღესასწაულო ტორტი სკოლის დირექტორთან, მაყვალა თევზაძესთან ერთად გაჭრეს. "გილოცავთ, ჩემო პატარებო, ლამაზებო! მინდა ჭკვიანები, ჯანმრთელები გაიზარდოთ ჩვენი ქვეყნის, ქალაქის და სკოლის გასახარად, მშობლებისა და მასწავლებლების საიმედოდ." _ მიესალმა მათ სკოლის დირექტორი.

ბევრი წარჩინებული მოსწავლე და უკვე სტუდენტი კურსდამთავრებული წელსაც ესახელება მე-10 საჯარო სკოლას. მათთან ერთად ის მოსწავლეები, წელს კომაროვის მათემატიკურ სკოლაში წარჩინებით რომ ჩააბარეს გამოცდები.

მეათესკოლელებს გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე მიესალმა "ამ სკოლიდან ვულოცავ მთელ სამტრედიას ახალი სასწავლო წლის დაწყებას, წარმატებებით დახუნძლული რომ უნდა დაგვებედოს. გილოცავთ მის აღსაზრდელებს, მშობლებსა და პედკოლექტივს. გისურვებთ, ყველა მოსწავლე წარჩინებული ყოფილიყოს."

ახალი სასწავლო წლის დადგომა მიულოცა და ამ სკოლაში საკუთარი მოსწავლეობის წლები გაიხსენა ქალაქში გამგებლის წარმომადგენელმა თენგო ცაგურიამ: "45 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ სკოლის კურსდამთავრებული მქვია. ჩემი პირველი საკლასო ოთახი იქ იყო, სადაც ახლა სკოლის დირექტორი ზის, პირველი მასწავლებელი ნინა ჩიხლაძე დღესაც დიდი სიყვარულით მახსენდება. წარმატებები, ბავშვებო, თქვენგან კარგი სწავლის გარდა ვერაფერს დავჯერდებით, რადგან ხვალ თქვენი საშენებელია ეს ქვეყანა!"

საუკუნის თანატოლი საუკუნოვანი სკოლის ზარის დარეკვის პატივი პირველკლასელებს ერგოთ.





## იპირველეთ პირველებო!

"თქვენ, მომავალი თაობა აძლევთ ძალას ქვეყნის თვითმყოფადობის ბებერ ძარღვს, მის ხვალინდელ დღეს. უკეთესი მომავლის იმედით შემოგცქერით და არ გეპატიებათ, იმედები არ გაგვიმართლოთ! პირველობა ყველა საქმეში, პირველებო!" _ ასე პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ მიმართა მის მოსწავლეებს საზეიმო შეხვედრაზე. სასწავლო წელი, ისევე როგორც ყველგან, აქაც დიდი ოვაციებითა და ბეჯითობით დაიწყო. ამასთან, არაერთი სიახლით, რაც ამ წარმატებული სკოლისთვის გასაკვირი ნამდვილად არ არის. თუმცა, განსაკუთრებული სიახლე ყველა მოსწავლისათვის სავალდებულო ფორმაა, რომლის ტარებასაც მკაცრად გააკონტროლებს სკოლის ადმინისტრაცია. იგი სკოლის დირექტორის, საქმის მწარმოებელ ნათია კიკაჩეიშვილისა და სპეცმასწავლებელ ნათია ჭანტურიას დიზაინით შეიქმნა. სკოლის თვითმმართველობასთან შეთანხმების შემდეგ ფორმის ტარების გადაწყვეტილება მიიღეს.

სასწავლო წლის პირველივე დღეს, მოსწავლეთათვის მაგალითის მისაცემად მოსწავლის ფორმის ზუსტი ანალოგი პედაგოგებსაც ეცვათ.

პირველი საჯარო სკოლის კარი წელს 76 პირველკლასელმა შეაღო. ეს ნიშნავს, რომ სკოლას პირველი კლასის სამი პარალელი ეყოლება. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 16%-ით გაიზარდა.

სახელმწიფოსი თუ ადგილობრივი ძალებით ყოველწლიურად აწესრიგებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, ინტერიერსა და ექსტერიერს. წელს, ახალ სასწავლო წელთან უკეთ შესახვედრად, საკუთარი შესაძლებლობებით სველი წერტილები და კორიდორები განაახლეს. სხვასთან ერთად, სკოლაში სიახლეა ის, რომ ახალი სასწავლო წლიდან, სკოლის ხელმძღვანელობის ინიციატივით, მე-7, მე-8 კლასებში პედაგოგი ნატო წიქვაძე თავისუფალ გაკვეთილებს ჩაატარებს ასტროლოგიაში. მოსწავლეებით ახმაურებულ სკოლის ეზოს ისევ და ისევ ემატებოდა ბავშვები. სახელდახელოდ პა-



ტარა კონცერტი გამართეს, ბეჯითად სწავლის პირობა დაუდეს მასწავლებლებსა და მშობლებს, რადგან ამ სკოლის დირექტორის ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, პირველები არიან და უნდა იპირველონ!

საკუთარი მოსწავლეობის წლები ადგილობრივი ხელისუფლებიდან აქ მოსულმა სტუმრებმაც გაიხსენეს. გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა აქაური კუსდამთავრებულია. ამჯერად, მშობელიც გახლავთ ამ სკოლისა, რადგან საკუთარი შვილების ბედიც მშობლიურ სკოლას მიანდო. "წარმატებული ყოფილიყოს ეს და ყველა მომდევნო წელიწადი თქვენთვის ბავშვებო! შრომისა და სწავლის გარეშე არაფერი გამოვა, ამიტომ თქვენი და თქვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის წიგნთან მეგობრობით უნდა გაისარჯოთ. ჯერ სხვა არაფერი გევალებათ, უფრო დიდ ვალდებულებებს კი ცხოვრება რომ გიმზადებთ, კარგი განათლებით ადვილად შეეჭიდებით." საფინანსო სამსახურის უფროსის დავით ბაღდავაძის ორი ქალიშვილიც ამ სკოლის მოსწავლეთა სიაშია. "ჯანმრთელები და ღირსეულები გაიზარდეთ

ბავშვებო. მოსწავლეობა ყველაზე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში და გისურვებთ კარგი სწავლითა და მუყაითობით იგი საამაყოდ გაგეტარებიოთ.'' _ მიესალმნენ ისინი პირველსკოლელებს.

### ფრანებს დადევნებული ოცნებების ასახდენად

უფრო მასშტაბური აღნიშვნა სასწავლო წლის დაწყებისა, ქალაქის ცენტრში, მომავლის პარკში ელოდათ მოსწავლეებს. ეს ადგილობრივი ხელისუფლების საჩუქარი იყო მათთვის სწავლის დაწყების წინ. იგი კულტურის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა. მონაწილეების უმრავლესობა სწორედ ისინი გახლდნენ, ვინც მერხებს უნდა მიუსხდნენ ცოდნის გასაღრმავებლად. პარკის წინ დამონტაჟებულ დიდ ეკრანთან მოწყობილ სცენაზე ელექტრონული მუსიკის და





სოლო შემსრულებლების მიერ გამართულ კონცერტს ბევრი მსმენელი ჰყავდა. საერთო მხიარულებაში აფრენილ ფრანებს ახალგაზრდებმა ასახდენი ოცნებები და სანუკვერი სურვილები ზეცაში ასასრულებლად გაატანეს. ელექტრონული მუსიკის რითმებს აყოლილი მოძრაობის ფონზე ცა ულამაზესმა ფეიერვერკმა ათასფრად გაანათა.

მეორე დღეს კი ეს მხიარულება სწავლის დაწყების მაუწყებელმა ზარმა დაასერიოზულა, სექტემბერმა რომ დარეკა. მოსწავლეები ცეკვა-სიმღერით გამოემშვიდობნენ უდარდელ ზაფხულს. ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი პირველკლასელებმა დარეკეს თითქმის ყველა საჯარო სკოლაში. ზარის წკრიალს ყველა მოსწავლე ჟრიამულით შეჰყვა საკლასო ოთახებში, სადაც მერხებმა პირველივე გაკვეთილი ჩაიბარეს.

# მწვერვალები უხმობთ ცოდნის

**ნათია ნაცვლიშვილი**

***უსასრულო სივრცეების დასალაშქრად ემზადებიან პატარები, დღეს პირველი დღეა და დედის კალთას ჩაბღაუჭებიან იმ ციცქნა თითებით, ხვალის საქართველოს ძლიერ მუშტად რომ უნდა შეკრან და "მტერს ავი თვალი დაუნისლონ." ძალიან სჭირდება ტერიტორიებდაკარგულ მათ ქვეყანას სწავლით გაბრწყინებული ნიჭიერი მომავალი.***





მესამე საჯარო სკოლამ ნახევარსაუკუნოვანი იუბილე გასულ წელს საზეიმოდ აღნიშნა. ეს დიდი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე სკოლაა. საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკოსი როინ ნადირაძე, რომელსაც ანდრია რაზმაძეობას უწინასწარმეტყველებდნენ, ამ სკოლაში აღიზარდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ტრადიციები გრძელდება. ინტელექტუალური ნაკადით თავს იწონებს სკოლა. გასული სასწავლო წლის მონაგარი მართლაც შთამბეჭდავია _ მუნიციპალიტეტის მასშტაბით 5 ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი გვყავს, აქედან სამი მესამე სკოლის კურსდამთავრებულია. სკოლაში დამკვიდრებული ტრადიციაა კონცერტიც, რომელიც სწავლის დაწყების დღეს იმართება.

ეროვნული ჰიმნის ფონზე მეთორმეტე და პირველკლასელებმა ეროვნული დროშა აღმართეს, ძველის და ახლის საუკეთესო სინთეზი მათი ერთობლივი კონცერტიც იყო. კონცერტის შემოქმედებით და მხატვრულ მხარეზე სკოლის მუსიკის პედაგოგმა და ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელმა, ანა აბზიანიძემ იზრუნა. კონფერანსიეები მეთორმეტეკლასელები ანა თვალავაძე და საბა ჩაჩუა იყვნენ, რომლებიც ასევე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ შეკრებილთა წინაშე. ამ სკოლის ბევრი მოსწავლე სხვადასხვა მუნიციპალურ ანსამბლში მღერის და ცეკვავს, ამდენად, სკოლას საუკეთესო რესურსი აქვს იმისათვის, ყოველი სასწავლო წლის დაწყება ლამაზი კონცერტით აღნიშნოს.

მოსწავლეებს ტრადიციულად მიესალმა სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი: "მოგესალმებით ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო, პედაგოგებო, განსაკუთრებულად პირველკლასელებს მივესალმები, რომელთათვისაც პირველი ზარი ახლა ირეკება, ძალიან წარმატებული იყო ჩვენი სკოლისათვის გასული წელი, 38 კურსდამთავრებულიდან 37 სტუდენტი გახდა, განსაკუთრებულად გვასახელა ყოფილმა მეთორმეტე კლასმა, სამი მათგანი 100 პროცენტიანი დაფინანსებით პრესტიჟულ სასწავლებლებში მოხვდა, მუნიციპალიტეტს 100 პროცენტიანი გრანტის სულ ხუთი მფლობელი ჰყავს. გისურვებთ მოსწავლეებო, არ დააგდოთ წარმატებების ტემპი!"

წლევანდელ საზეიმო ღონისძიებას შეუერთდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძე და გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.





როსტომ თავაძე: "მოგესალმებით ყველას, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჩემთვის ამ სკოლაში სტუმრობას სასწავლო წლის პირველ დღეს, ესაა ჩემი შვილების სკოლა, განსაკუთრებით ვულოცავ დღევანდელ დღეს პირველკლასელებს, რომელთათვისაც დღეს ჯადოსნური სამყაროს კარი იღება. გისურვებთ, აბჯრად აისხით ცოდნა და ასახელეთ თქვენი ქვეყანა".

მესამე სკოლაში წლეულს 57 მოსწავლე მიიღეს, მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 500-ს გადასცდა, ორი პირველი კლასი პედაგოგებმა მარეხ

თევზაძემ და სოფიო ზამთარაძემ ჩაიბარეს.

"სამტრედიის მაცნე" მესამე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მარინა ნადირაძეს გაესაუბრა: "გასულ წელს ჩვენს სკოლას სამი ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი ჰყავდა, ორი სამოცდაათპროცენტიანი გრანტის, რვა ორმოცდაათპროცენტიანის, ჩვენი სკოლა განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით ჩაისვა პროექტში და მალე აქ სარემონტო სამუშაოები ჩატარდება".

# ამჯერად ვაშლი...



საჯარო სკოლებში ვაშლის დარიგების ინიციატივამ აალაპარაკა ამ დღეებში საზოგადოება, მედია.

ინიციატივის ავტორად კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა მოგვევლინა, ის ჯეჯელავა, ქართულ ხალხურ ზღაპართა გმირებზე შეტევით რომ დაამახსოვრა თავი ახალგაზრდებს და არა მარტო მათ.

სკოლებში ვაშლის, გინდათ მსხლის, ატმის დარიგებაში ცუდი არაფერია, მაგრამ საინტერესოა, თუ ვაშლების დარიგება აუცილებელია და კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს მოზარდებზე, რა დააშავეს იმ სკოლებმა, სადაც 1000 ბავშვზე ნაკლები სწავლობს?!

ნუთუ ის 24-50-160... ბავშვიანი სკოლები იმისთვის უნდა დაისაჯონ და ვერ მიიღონ ვაშლები, რომ კონტინგენტი 1000-იანი არაა?

არ დაფიქრდა სამინისტრო, რამდენი 1000 ბავშვიანი სკოლა გვაქვს ხალხისაგან დაცლილ დღევანდელ საქართველოში?

ვთქვათ, გაისად ბოლოკის უხვი მოსავალი მივიღეთ, დავარიგებთ ბოლოკს სკოლებში?

ეს რაც შეეხება სკოლებში ვაშლის დარიგებას.

**კიდევ...**

"სამი წლის წინ ეროვნული გამოცდების ბარიერი 21 ქულა იყო.

ეს იმას ნიშნავს, რომ 3 მაიმუნი რომ შეგეშვა და უბრალოდ შემოეხაზათ, ერთი მაინც ჩააბარებდა.

ჩვენ ბარიერი ავწიეთ და ახლა 7 მაიმუნიდან ერთი აბარებს. ჩვენი მიზანია, მაიმუნებმა ვერ ჩააბარონ ეროვნული გამოცდები". ეს გახლავთ ამონარიდი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გამოსვლიდან ახალგაზრდული ორგანიზაციების მერვე ფორუმზე, ეროვნულ გამოცდებზე საუბრისას.

...

ყველაფერს თავი დავანებოთ, ნუთუ ბატონი ჯეჯელავას ასაკის კაცმა მეტი გამჭვირვალობით ვერ ახსნა, დამაჯერებლობითა და მეტი სიყვარულით ვერ ისაუბრა ახალგაზრდების წინაშე?

განგებ, აზრის გასაფანტად ხომ არ ხდება ყოველივე?

ერთი სიტყვით, "მეცნიერულად" ნუ გვათამაშებთ ბატონებო!

**ლევან გაბეჩავა**

# ეს დღეც გათენდა

განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო 15 სექტემბერს ქალაქის ქუჩებში, სკოლისაკენ იჩქაროდნენ ახალგაზრდები, პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლები.

შესაბამისი განწყობა იგრძნობოდა სახელოვანი ისტორიის მქონე IV საჯარო სკოლაშიც.

"ანდეთ თქვენი შვილების განათლება პროფესიონალებს" _ თვალსაჩინო ადგილზე დაუმაგრებიათ სკოლაში ეს სიტყვები, მართლაც მრავალი პროფესიონალი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ამ სკოლაში. აქაურ მოსწავლეთა წარმატებებზე არაერთხელ დაწერილა და კვლავაც დაიწერება, ამჯერად კი "სამტრედიის მაცნესთან" სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირმა ზარნაძე დაწვრილებით საუბრობს: გასული სასწავლო წელი, შეიძლება ითქვას, წარმატებულად დავასრულეთ, ბევრი ჩვენი კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა. გვყავანან მოწინავე მოსწავლეები, რომლებმაც საკუთარი თავი, სკოლა, ოჯახები ბეჯითი სწავლითა და სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით ასახელეს. განსაკუთრებით გამოვყოფ მირზა შანიძეს, რომელიც მოვლენაა ჩვენს სკოლაში, მუნიციპალიტეტში. _ აღნიშნა ირმა ზარნაძემ. ამასობაში ზარი დაირეკა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შეკრებილთ და წარმატებები უსურვა მათ.

39 პირველკლასელი მიუჯდა მერხს მე-4 საჯარო სკოლაში.

**ლევან გაბეჩავა**

# ემოციებით დატვირთული პირველი დღე

ნათია ნაცვლიშვილი

***მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში აღმზრდელობითი პროცესი განახლდა. აივსო შენობები ბავშვური ჟრიამულითა და სიხალისით. თეთრი პერანგების სიქათქათე მოედო ქუჩებს, ეზოებს, ახლად შეღებილ საბავშვო ბაღის ოთახებს. ემოციური დღეა პედაგოგებისათვის, მშობლებისა და მათი აცრემლებული პატარებისათვის. მიუხარიათ ბავშვებს იქ, სადაც დედობრივს მიახლოვებული მზრუნველობა ხვდებათ, იქ, საიდანაც იწყებენ სამყაროს ვარდისფრად აღქმას...***

რამდენიმე ბაგა-ბაღს ესტუმრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შემოვლა მეოთხე ბაგა-ბაღით დაიწყეს. პატარებს სააღმზრდელო წლის დაწყება მიულოცეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით ბახტაძემ, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, განათლების, კულტურის ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა, გამგებლის წარმომადგენელმა ქალაქ სამტრედიაში თენგო ცაგურიამ, ხათუნა გაგუამ და გაერთიანების მეთოდისტებმა.

დავით ბახტაძე: "ძვირფასო პედაგოგებო, მშობლებო, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლებო, გილოცავთ დღევანდელ დღეს, ნაყოფიერ წელს გისურვებთ. პედაგოგებო, თქვენ ის ადამიანები ხართ, ვინც ამ პატარებს შთააგონებთ ყოველივე საუკეთესოს, აზიარებთ ყველა იმ კეთილ თვისებას, რასაც უნდა ფლობდნენ ბავშვები. წარმატებებს გისურვებთ ყველას."

ლიზა კრავეიშვილი: "მოგესალმებით პატარებო, მშობლებო, მართლაც მნიშვნელოვანი დღეა, ესაა პირველი დაწესებულება, სადაც ცოდნას ეწაფებით. აქ ყალიბდებით ღირსეულ ქართველებად, ბედნიერ მომავალს, ულევ წარმატებას გისურვებთ.

ნატალია მანჯგალაძე:

"გილოცავთ დღევანდელ დღეს, განსაკუთრებულად იმათ ვულოცავ, ვინც პირველად შემოაღო დღეს ამ დაწესებულების კარი, გისურვებთ, ნაყოფიერი და ლამაზი წლები გაატაროთ აქ, მაღალ დონეზე მომზადებულნი წახვიდეთ სკოლებში".

"ხათუნა გაგუა: მოგესალმებით პატარებო, ახალ სააღმზრდელო წელს გილოცავთ, მჯერა, ამ კედლებში გატარებული წლები ტკბილი ზღაპარივით მოგაგონდებათ, გპირდებით, თქვენი მხარდამჭერები ვიქნებით".

"წლევანდელ წელს სიახლეებით ვეგებებით, ღანირის საბავშვო ბაღი აბსოლუტურად შეიცვალა, მას აქვს ახალი შენობა, შევიტანეთ ახალი ინვენტარი, იგი საჩვენებელი ბაღი იქნება მთელს მუნიციპალიტეტში, ამასთანავე, რემონტდება პირველი ბაგა-ბაღი, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ის შესაბამის პროექტში ჩაისვა, მალე დაიწყება რემონტი ნაბაკევის ბაღში. დღეს ვიმყოფებით მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდ ბაღში, ვულოცავ ყველა პატარას, ყველა პედაგოგს და მშობელს სააღმზრდელო წლის დაწყებას". – განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" ხათუნა გაგუამ.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე, მარინა შენგელია: "მეოთხე ბაგა-ბაღში დედაჩემი, ლამარა შენგელია 25 წელი მუშაობდა, მეც ამ ბაღის აღსაზრდელი გახლავართ, ჩემი ვაჟიც აქ გაიზარდა, ამ ბაღში აღმზრდელად 3 წელი ვიმუშავე, ამ შენობაში ყოველი ნაბიჯის შემოდგმისას განსაკუთრებული ემოცია მეძალება, აქაურობა მართლაც ამაღელვებელია ჩემთვის, წარმატებებს ვუსურვებ ბავშვებს, აღმზრდელებსა და პედაგოგებს".

"არ დავიღლებით, რადგან გვქვია მასწავლებლები" – ტრადიციულად ომახიანად და ენერგიულად, ლექსით შეეგება პატარებს მეოთხე ბაგა-ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა და შენობაში შეუძღვა. ამ დაწესებულებაში დღესდღეობით 500 პატარაა. როგორც ქალბატონმა ნანამ გვითხრა, სულ 15 ჯგუფია, აქედან – 5 სასკოლო მზაობის ჯგუფი. მეოთხე ბაღიდან სტუმრებმა მეათე და მეცხრე ბაღებში გადაინაცვლეს.









# მარად ჩვენი თანამედროვე

ლევან გაბეჩავა

***"მე დავბადებულვარ 14 ენკენისთვეს (სექტემბერს) 1843 წელს.***

***ჩემზე უწინ ჩემს მშობლებს ქალიშვილი ნატალია ჰყოლიათ.***

***ჩემი თავი მახსოვს ოთხი წლიდან, როცა ბებია – ჩემი ტასო ჩემმა წაქცევამ და ტახტის ყურეზე წარბის გაჩეხამ გაამწარა" – წერს ერთგან დიდი ერისკაცი ნიკო ნიკოლაძე.***

...

სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ნიკო ნიკოლაძემ მსოფლიო დონის მოღვაწეთა შორის, დიახ, მისი დაუცხრომელი საქმიანობით იგი ბევრად აღემატება ერთ რეგიონში, მხარეში, ქვეყანაში მოღვაწე ადამიანს. ტყუილად როდი უწოდეს, ულმობელი საქმის კაცი, კაცი სახელმწიფო, დროს გასწრებული მოაზროვნე.

პუბლიცისტი და კრიტიკოსი, მწერალი, მოაზროვნე, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ნოვატორი, არაერთი კეთილი საქმის ავტორი და შემოქმედი ექვსი ათეული წლის მანძილზე ტრიალებდა ცხოვრების შუაგულში და ერთი ფიქრის, ოცნების გარდა არაფერი უტრიალებდა ელვარე გონებაში, ეს ფიქრი გახლდათ ღვაწლი და გარჯა ერისა და ქვეყნისათვის.

გამოსდიოდა კიდეც, თანაც ჩინებულად.

შეუძლებელია, ერთ წერილში ოდნავადაც წარმოჩნდეს ღვაწლი დამაშვრალი ერისკაცისა.

გარჯა და შრომა რკინიგზის ქსელის განვითარებისათვის, სარწყავი არხების გაყვანისთვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების, ფოსტა-ტელეგრაფის, სამკურნალო დაწესებულებების... დაარსებისათვის.

როგორც ცნობილია, ნიკოლაძეების ოჯახი სოფელ დიდ ჯიხაიშში ლორთქიფანიძეების მამულში დასახლდა.

ამის შემდეგ გადაიქცა სწორედ დიდი ჯიხაიში, ნიკოს მამული უდიდეს კულტურულ ცენტრად არა მარტო სამტრედიასა და რეგიონში, არამედ მთელ საქართველოში.

სწორედ აქ, დიდ ჯიხაიშში ნიკოს სახლის აივანზე მამულზე ფიქრში, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობისას ხშირად დასთენებიათ ჩვენი ერის სასიქადულო შვილებს, ერისკაცებს, ყოველივე კი თავისებურ ელფერს სძენს აქაურობას.

ცალკე თემაა ნიკოს ოჯახის თითოეული წევრის ღვაწლი და ამაგი ქვეყნის წინაშე.

ქართველი ქალის, დედის საუკეთესო თვისებებით იყო შემკული ნიკოს მეუღლე.

ფასდაუდებელია წვლილი, ნიკოს ვაჟიშვილმა გიორგი ნიკოლაძემ რომ შეიტანა მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების საქმეში. სპორტსმენი, მეტალურგი, მათემატიკოსი, ერთი სიტყვით, მრავალმხრივი ნიჭით გახლდათ მირონცხებული.

დიდია ქალბატონ რუსუდან ნიკოლაძის, დიდი ნიკოს ქალიშვილის წვლილი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში.

წლების მანძილზე გახლდათ დიდი ნიკო ფოთის ქალაქის თავი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მან ფოთის პორტისა და საერთოდ, ამ უძველესი ქალაქის მშენებლობის საქმეში.

არ ივიწყებენ ფაზისელები ერისკაცის ამაგს.

ოდენ თვალისა და გულის გასახარად როდი მოგზაურობდა ნიკოლაძე საზღვარგარეთ, იგი ეცნობოდა მაშინდელი მოწინავე ქვეყნების ტექნოლოგიურ მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებებს, სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და საქართველოში ჩამოჰქონდა, ამკვიდრებდა ყოველივეს.

უახლოესი საქმიანი კონტაქტები აკავშირებდა მას მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან, უბრალო ადამიანებთან, ახალგაზრდებთან.

...

1928 წელს გარდაიცვალა დიდი ერისკაცი, პატივით მიაბარა მადლიერმა ქართველობამ იგი მშობლიურ ქართულ მიწას, მისი სახელი კი სამარადჟამოდ ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.



174 წელი სრულდება 27 სექტემბერს ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.'

სამწუხაროა, რომ ამ დამაშვრალი და მრავალმხრივი მოღვაწის შესახებ არაფერია ნათქვამი ქართულ სასწავლო-სახელმძღვანელოებში, ეს მაშინ, როცა ისინი უხვადაა გაჯერებული არაქართველი მოღვაწეების ბიოგრაფიებით!

მამას ივიწყებენ და მამინაცვალს იფიცებენო, ნათქვამია, მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში.

არაა სადავო, ნიკოლაძე მეტ დაფასებასა და აღიარებას რომ იმსახურებს, ამდენად, ჩანასახშივე უნიათო, მკვდრადშობილი ინიციატივების ნაცვლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ საკითხით თუ დაინტერესდება, მისასალმებელი და აუცილებელი იქნება. აუცილებელია ისიც, რომ რაიონის საჯარო სკოლების ხელმძღვანელობამ გაითავისოს ნიკოლაძის ფასდაუდებელი ამაგი ქვეყნის წინაშე და სასწავლო ექსკურსიებით ხშირად აწვიონ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს ახალგაზრდები სოფელ დიდ ჯიხაიშში. დიდი ერისკაცის მუზეუმში კი, სულ ახლახან დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასე რომ, უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ ამ მართლაცდა ღმერთკაცის შესახებ.

# რატომ უნდა შევიყვანოთ ბავშვი საბავშვო ბაღში?

## სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ცვლილებების მოლოდინში

ქეთევან ქელიძე

*ბავშვმა ლექსი თქვას და კარგად იკვებოს, სპეციალისტების განმარტებით, მარტო ეს არ არის საბავშვო ბაღის ფუნქცია. პრიორიტეტია, მისცეს განათლება, განავითაროს მისი უნარები და სოციალიზაცია მოახდინოს იმ პატარების, დამოუკიდებლობისაკენ პირველ ნაბიჯებს ამ სააღმზრდელო დაწესებულებებში რომ დგამენ. ზოგიერთი მათგანი ადვილად ახდენს უცხო გარემოსთან ადაპტაციას, ზოგიც ძნელად, ან საერთოდ უარს ამბობს საბავშვო ბაღზე.*

*და მაინც, რატომ უნდა წავიყვანოთ საბავშვო ბაღში ბავშვი? ეს კითხვა ჩვეულებრივ დაისმის და პასუხიც იდენტურია, ისწავლოს თანატოლებთან ურთიერთობა, მეგობრობა, სიყვარული, გამოავლინოს თავისი უნარები, განავითაროს გონებრივი შესაძლებლობები, მოახდინოს სასკოლო მზაობა და სხვა.*

*არავინ კამათობს, რომ ჯანსაღი თაობის აღზრდაში საბავშვო ბაღის როლი მნიშვნელოვანია. უსაფრთხო გარემოსთან ერთად აქ პატარების სააღმზრდელო პროცესზე კვალიფიციურმა პედაგოგებმა უნდა იზრუნონ.*

*2017 წელს "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონში ცვლილებები შევიდა. იგი მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბრიდან ამოქმედდება. კანონით გათვალისწინებული სტანდარტების დაცვისთვის ადგილობრივ თვითმმართველობებს გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ.*

*სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, კანონის თანახმად, გათვალისწინებულია განათლების, კვების, სანიტარია-ჰიგიენის და ინფრასტრუქტურის ხარისხთან დაკავშირებით სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცება. ყველა ბავშვს უნდა მიეცეს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა, რადგან "სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არა მარტო ბავშვის განვითარებისთვის გაღებული ხარჯია, არამედ საზოგადოების განვითარებისათვის გაღებული ხარჯი".*

*სამტრედიის მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისია, რომელსაც გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე ხელმძღვანელობს, უკვე რამდენიმე თვეა, კანონში შეტანილ ცვლილებებს განიხილავს და იმ საჭიროებებს შეისწავლის, რომლის განხორციელებაზეც თვითმმართველობამ უნდა იზრუნოს.*

*18 სექტემბერს საბავშვო ბაღები აახმიანეს პატარებმა, ახალი სააღმზრდელო წელი დაიწყო. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა გაგუა საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობასა და მომავლის გეგმებზე გვესაუბრება.*



**_ პირველ რიგში, გილოცავთ ახალ სააღმზრდელო წელს და წარმატებებს გისურვებთ! მოდით, მკითხველს კონკრეტული სურათი შევუქმნათ, თუ რამდენი საბავშვო ბაღია მუნიციპალიტეტში და როგორია ბავშვთა რაოდენობა.**

_ მადლობა. მუნიციპალიტეტში 23 საბავშვო ბაღია. აქედან 10 ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, დანარჩენი სოფლებს ეკუთვნის. შარშან ბაღებში სიით 1930 ბავშვი ირიცხებოდა, წელს მატებაა და ახალი ჯგუფების გახსნაზეც არის საუბარი, მაგრამ საბიუჯეტო თანხების სიმწირის გამო, ჯერჯერობით, ეს ვერ ხერხდება.

**_ ბაღების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ არ ვცდები, ბავშვების დარეგისტრირებაზე კანონი უარს არ ითვალისწინებს.**

_ ცხადია, ამიტომაც არის ჯგუფები გადავსებული, ზოგან 35, 40 ბავშვიც გვყავს, ახალი სტანდარტების თანახმად ახალი ჯგუფები მალე გაიხსნება. თითოეულში რაოდენობა 25 ბავშვს არ უნდა აღემატებოდეს. სახელმწიფოსი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი საბავშვო ბაღებია. მომავალი წლის ბიუჯეტში დიდი თანხა ჩაიდება მათი რეაბილიტაციისათვის, რათა ავტორიზაცია გაიარონ. დღეის მდგომარეობით ვერც ერთი მათგანი შეძლებს ამის მოხერხებას. ეს პრობლემა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში არ არის, ასეა მთელ საქართველოში, ყველგან ერთნაირი სიტუაციაა. არ ვართ განებივრებული, რომ ყოველ ახალ სასწავლო წელს გარემონტებული შენობა-ნაგებობებითა და ახალი ინვენტარით შევეგებოთ, მაგრამ გვაქვს სასიხარულო ფაქტი, რომ ღანირის საბავშვო ბაღი, რომელიც წლების განმავლობაში ამორტიზებულ შენობაში არსებობდა, მალე ფუნქციონირებას ახლად გარემონტებულ, თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფილ შენობაში გააგრძელებს მუშაობას. აქ ყველაფერი ახალია: ავეჯიც, ჭურჭელიც, სათამაშოებიც. ბაღი ორ ჯგუფზე, 50 ბავშვზეა გათვლილი. აქვე ვიტყვი, რომ უახლესი პერიოდისთვის გათვალისწინებულია ნაბაკევის საბავშვო ბაღისთვის ახალი შენობის აგება. არის კიდევ ერთი სიახლე _ რკინიგზის №75 საბავშვო ბაღი, რომელიც ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარეობს, ჩვენ გადმოგვეცემა.

**_ როდის დაიწყება ავტორიზაცია?**

_ უკვე დაიწყო მზადება. როგორც აღვნიშნე, მოწესრიგდა ღანირის საბავშვო ბაღი, სადაც სააღმზრდელო პროცესი 10 დღეში განახლდება. მიმდინარეობს №1 საბავშვო ბაგა-ბაღში სარემონტო სამუშაოები, რის გამოც იგი ერთი თვით გვიან დაიწყებს ფუნქციონირებას. ასე თანდათანობით მოხდება შენობა-ნაგებობების მოწესრიგება, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა. ტენდერებზე ვართ დამოკიდებული და დროში იწელება.

**_ სკოლამდელი განათლების პოლიტიკის მოდელი, ჯგუფებში მცირე რაოდენობის აღსაზრდელების გარდა, განათლებული, კვალიფიციური პედაგოგების ჩართულობასაც ითვალისწინებს...**

_ დიახ. ავტორიზაციის პარალელურად, კანონში ცვლილებების თანახმად, გადამზადებას გაივლის პერსონალი, რომელთაც ბავშვებთან უშუალო ურთიერთობა აქვთ. დღეს თუ საბავშვო ბაღებში არიან აღმზრდელები, თანაშემწეები და ძიძა-სანიტრები, კვალიფიკაციის გავლის შემდეგ მათ აღმზრდელ-პედაგოგის და აღმზრდელის სტატუსი მიენიჭებათ. ეს, რა თქმა უნდა, ხელფასის მატებასაც გამოიწვევს. უკვე აუცილებელი ხდება, აღმზრდელ პედაგოგს და აღმზრდელს დაწყებითი ან სკოლამდელი აღზრდის უმაღლესი განათლება ჰქონდეთ მიღებული. ისინი ერთნაირ საქმეს აკეთებენ, მთელი დღე დატვირთვით მუშაობენ ბავშვებთან.

ჩვენთან, როგორც წესი, თუ 6 წელი არ შეუსრულდა, ბავშვს სკოლაში არ ღებულობენ. მათ სასკოლო მზაობის პროგრამაში ვრთავთ. ასეთი ჯგუფი გვქონდა მე-4 საბავშვო ბაღში, რომელსაც ქალბატონი მარინა კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. საუკეთესო შედეგები აჩვენეს პატარებმა. სხვათა შორის, 1-დან 2 წლამდე ბავშვების მიღებაც შეგვიძლია და მხოლოდ ერთ საბავშვო №10 ბაგა-ბაღში. ზოგადად, 2-დან 3 წლამდე ბაგის ასაკის ბავშვებისთვის ყველა საბავშვო ბაღში არსებობს ჯგუფები.

**_ დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების საზოგადოებასთან ინტეგრირების საკითხი, როგორც არასდროს, ისე დგას. ალბათ, ინკლუზიური ბავშვები თქვენს დაწესებულებებშიც არიან. რას გვთავაზობს კანონი ასეთი ბავშვების საზოგადოებაში ადაპტაციისა და განვითარებისათვის?**

არ არსებობს ბაღი, ასეთი ბავშვი რომ არ გვყავდეს. არის ჯგუფები, სადაც რამდენიმე ასეთი მოზარდია. ამჯერად მათთვის არანაირი პირობა არ არსებობს. პროექტით გათვალისწინებულია, რომ სპეცმასწავლებლები იმუშავებენ მათთან. ქუთაისიდან ან თბილისიდან მოდიან ბავშვები ფსიქოლოგების დასკვნით, რომ მათი ინტეგრაცია აუცილებელია სხვა ბავშვებთან. ეს სირთულეს წარმოადგენს. ჯგუფში სამი პირია _ აღმზრდელი, თანაშემწე და ძიძა, 40 ბავშვიდან 5 რომ ინკლუზიურია, რთულია, თავის გართმევა. ზოგიერთი ისეთია, სულ ხელში უნდა ყოფნა და ძირს არ ჩამოდის. ჩვენ მაინც არ გვაქვს უფლება უარი ვუთხრათ მათ მიღებაზე. ყველა, ვინც ჩვენგან წავიდა, კმაყოფილები არიან, შედეგიც აქვთ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის აუცილებელია, შენობას პანდუსი ჰქონდეს, საპირფარეშოებიც სხვანაირი სჭირდებათ, მაგრამ არ გვაქვს. იმდენად უნდათ მშობლებს, მათმა შვილებმა ჯანმრთელ ბავშვებთან იურთიერთონ, უარს ვერ ვეუბნებით. დროთა განმავლობაში ასეთ პატარებს ისე იღებენ მათი თანატოლები, რომ სხვებისგან არ ასხვავებენ. მეტიც, ზრუნავენ კიდეც მათზე.

როცა სპეცმასწავლებლები გვეყოლება, ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებული გვექნება. ცალკე ოთახსაც გამოვყოფთ, სადაც გარკვეულ პერიოდში სპეცმასწავლებელი ინკლუზიურ ბავშვებთან იმუშავებს.

**_ საბავშვო ბაღებში ფსიქოლოგების, ლოგოპედების მოთხოვნაც არსებობს.**

_ კანონი ამასაც ითვალისწინებს. აუცილებელია, ისინი ჩართული იყვნენ ბავშვების აღზრდა-განვითარებაში. დღეს ჩვენ ფსიქოლოგი არ გვყავს. გვყავს ერთი დიპლომირებული ლოგოპედი თამარ ძნელაძე. ალბათ, ქუთაისის შემდეგ დასავლეთში ჩვენ ერთადერთი ვართ, სადაც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი გვყავს.

ყველა საბავშვო ბაღს ექთანი ემსახურება. კანონი ექიმის შტატის დამატებასაც ითვალისწინებს.

**_ დღეს მწვავედ დგას საკითხი არა მარტო ეკოლოგიურად ჯანსაღ საკვებზე, სათამაშოებზეც კი. თქვენ როგორ ახდენთ ამის რეგულირებას?**

_ ეკოლოგიურად სუფთა სათამაშო არის მხოლოდ ხის სათამაშო. ვერ დავიტრაბახებ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები გვაქვს, მაგრამ ვცდილობთ, ძვირი გადავიხადოთ. ამ შემთხვევაში უფრო დაცული ვიქნებით.

ჩვენ სურსათის უვნებლობის სამსახური გვამოწმებს, თუ რა მდგომარეობაა სისუფთავის, ჰიგიენის თვალსაზრისით. სურსათსაც სატენდერო პირობების გათვალისწინებით ვიბარებთ. ყველანაირად ვცდილობთ, კარგად ვიმუშაოთ. ჩვენს სისტემაში 355 თანამშრომელია დასაქმებული. ჩვენი მეთოდისტები ყოველდღე ამოწმებენ საბავშვო ბაღებში არსებულ სიტუაციას. 23 საბავშვო ბაღს 7 მეთოდისტი ემსახურება. ახალი მოთხოვნის საფუძველზე ყველა ბაღში ადგილზე ერთი მეთოდისტი უნდა მუშაობდეს.

მინდა გითხრათ, რომ ვამაყობ ჩვენთან დასაქმებული ადამიანებით, მათი პროფესიონალიზმით. ვერც ერთს გამოვარჩევ, ვერ ვიქნები მიკერძოებული, ყველანი საუკეთესოები არიან.

# ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო

### ამონარიდი გ. თათარაშვილის ნარკვევიდან

... დაბრუნდნენ... გამოიარეს სოფლის ცენტრი... ძველი დუქნები ორსართულიანი ქვითკირის სახლები. ახლად გახსნილი სოფლის კოოპერატივი. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. თემის საბჭოს შენობა...

ფართო გზის ორივე მხარეზე ღრმა თხრილებში მღვრიე წყალი მოედინებოდა. სოფლის მკვიდრმა გლეხებმა ნოყიერი ადგილ-მამულის სარწყავად გამოიყვანეს იგი. მგზავრი თვალს არ აშორებდა ღელეს და აგონდებოდა თავისი ახალგაზრდობის წლები. უცებ მისი ყურადღება გზის მარჯვენივ ახლად დაწყებულმა მშენებლობამ მიიპყრო.

_ დავით, მითხარი გეთაყვა, ამ მშვენიერ ეზოში ვის გადაუწყვეტია დასახლება?

მეეტლეს ეუცხოვა მოულოდნელი შეკითხვა, მაგრამ გაახსენდა, რომ მგზავრი დიდი ხანია საქართველოში არ ყოფილა და მშვიდად მიუგო:

_ სკოლა უნდა ააშენონ, ბატონო ნიკო, სკოლა!

_ სკოლა? ძალიან კარგი! გეთაყვა, გთხოვთ, ეტლი შეაჩეროთ, სულ ორი წუთით შეაჩეროთ.

მგზავრმა კარგად დაათვალიერა მშენებლობის ადგილი, ახლად ამოყვანილი საძირკველი. მეურმეებს, რომლებსაც აგური და კირი მოეტანათ და ხის ჩრდილებში ისვენებდნენ _ გაესაუბრა...

_ დიახ, დიახ, დიდებული რამ არის, დიდებული!

ილიამ ვერ შესძლო... მეც ვერ შევძელი... მხარდაჭერა ვერ ვპოვეთ, მხარდაჭერა! ვის რათ უნდა სასოფლო-სამეურნეო სკოლაო _ გვიპასუხეს, ხმა არ ამოგვაღებინეს...

შეჰყურებდა ახალ მშენებლობას ნიკო ნიკოლაძე ჩაფიქრებული. ვინ იცის, რა არ აგონდებოდა სამშობლოს მოჭირნახულეს. იქნებ იგონებდა დიდი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის საზეიმო გახსნაზე, 1883 წელს.

"მკლავ-ძარღვათ კარგები ვართ, ჯანი და ღონე მოგვდევს. არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს, ეს მდიდარი პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი მკლავძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის მღვრელი, _ მაშ რაღად ვართ ღარიბნი? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია, არ ვიცით, საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხითა და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფად ადვილი იყოს და ნაჯაფიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი გვაკლია, სახელდობისა, რაც თვითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერ მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, ეს სიმდიდრეა, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებთ. მაგისთანა ღვთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ქვია, უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბიელეს გულს არ გადაგიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს".

ხალხმა გაიმარჯვა და ყველაფერზე ადრე ეს საქმე წამოიწყო. მერე რა ენთუზიაზმით! დიახ, დიახ, დიდებული საქმე დაიწყეს... ვაშა მათ!

წაბლისფერი ცხენები მშვიდად იდგნენ ფართო გზაზე, გამარჯვებით დამტკბარ მეეტლეს ტკბილად ეძინა, ხოლო ხანში შესული, ევროპულად გამოწყობილი ჭაღარა მგზავრი თვალს ვერ აშორებდა ახალ მშენებლობას. პარიზიდან საქართველოში დაბრუნდა...

მოამზადა ბიგანტი ბიბილეიშვილმა

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

# "სამოქალაქო ომი საშინელებაა"...



ნათია ნაცვლიშვილი

*კობა ბიბილეიშვილის პატრიოტული ეპოპეა სტუდენტობის წლებიდან იწყება. ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სამტრედიაში, ზვიად ძიძიგური მისი თანაკლასელია. რკინიგზელთა ქალაქში, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ეპიცენტრში, ეროვნული ცეცხლი რომ აგიზგიზდა, ისინი უფრო დაახლოვდნენ. ჩვენი რესპონდენტი ეროვნული გვარდიის 24-ე ბატალიონის უფროსის მოადგილე იყო. ერთი აგური მანაც დადო ეროვნული მოძრაობის დიდი ციხესიმაგრის მშენებლობაში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების დირექტორი "სამტრედიის მაცნესთან" ეროვნული მოძრაობის განვლილ წლებს იხსენებს.*

**– როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეროვნულ მოძრაობაში ადრეული ასაკიდან ჩაერთეთ...**

– 1988 წელს, სტუდენტობისას ჩავერთე, ქუთაისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი, მერაბ კოსტავა იმხანად ქუთაისში ჩამოდიოდა და მასთან შეხვედრები საცხოვრებელ ბინებში საიდუმლოდ ტარდებოდა, კომუნისტური რეჟიმი იყო და ღია ცის ქვეშ ხალხთან შეხვედრას ვერ ვახერხებდით. იქ ზვიად გამსახურდიაც ყოფილა არაერთხელ, მაგრამ იქ არ შევხვედრივარ. გრანდიოზული სტუდენტური საპროტესტო აქცია მოჰყვა მაისში ქუთაისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას. ამ მასშტაბის აქცია ამ ქალაქში არ მახსოვს. სტუდენტობის 98 პროცენტი გამოსული იყო, მეც ვმონაწილეობდი პედაგოგიური ინსტიტუტის წინ გამართულ ამ ერთკვირიან შიმშილობის აქციაში. ცალკე ინსტიტუტიდან, კათედრის გამგეების მხრიდან იყო მუქარები, ოჯახებზე, მშობლებზე ზეწოლას ახდენდა უშიშროება...

**– რას ითხოვდით?**

– მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას ვაპროტესტებდით და პარალელურად, დამოუკიდებლობას ვითხოვდით. შემდეგ სამტრედიაშიც მოძლიერდა ეროვნული დამოუკიდებლობის ტალღა, 1990 წელს დავამთავრე ინსტიტუტი, ჩამოვედი ჩემს ქალაქში და ბამბის სართავ ფაბრიკაში ცვლის უფროსად დავიწყე მუშაობა. ჩავები ილია მართლის საზოგადოებაში, მე და ზვიად ძიძიგური თანაკლასელები ვართ, მე და კობამ კი საბჭოთა ჯარში ერთად ვიმსახურეთ.

**– როგორ დაახასიათებთ თანაკლასელ ზვიად ძიძიგურს?**

– ის ყველაზე წარმატებული, ფრიადოსანი მოსწავლე იყო. სკოლა 1981 წელს დავამთავრე, ამ საზოგადოებაში გავიცანი სხვა ბიჭები, გამსახურდიას მთავრობა რომ მოვიდა სათავეში, მერე ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩავერიე, მაშინ გავაქტიურდი, როცა კანონიერი ხელისუფლება ძალადობრივი გზით დაამხეს. საშინელებაა სამოქალაქო ომი. ომი რომ დაიწყო, მეც იარაღს მოვკიდე ხელი და შევუერთდი 1991 წელს. ეროვნული მოძრაობის 24-ე ბატალიონის წევრი ვიყავი, იმხანად რამდენიმე ბატალიონმა განაცხადა კანონიერი ხელისუფლებისადმი ერთგულება, დანარჩენები პუტჩის მხარეს აღმოჩნდნენ, სამტრედიის ბატალიონმა კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერა გამოაცხადა. პრეზიდენტს და კანონიერ ხელისუფლებას, რომლებმაც უზენაესი საბჭოს შენობა დატოვეს, სამტრედიელები მრავლად ახლდნენ. ბევრი ავტობუსებში ჩაცხრილეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, იმათ შორის, ვინც დამხობილ პრეზიდენტს გამოყვნენ, ზაზა კაჭახიძე და კობა ძიძიგურიც იყვნენ, მათ აქ სამტრედიაში შევუერთდით. აქ ჩვენი ხელისუფლება იყო ჯერ კიდევ.

**– კანონიერი ხელისუფლების მომხრის ტვირთი ადვილი სატარებელი არ იყო, თქვენს თავზე გამოცადეთ ტერორი, დევნა?**

– იმდენად არ მდევნიდნენ იმიტომ, რომ ბატალიონს შედარებით გვიან შევუერთდი, მახსოვს, სამწუხარო ფაქტი მოხდა – მამაჩემი სცემეს ჩემს სახლში შემოცვენილმა მხედრიონელებმა. მეძებდნენ მე, მაგრამ იმ მომენტში შინ არ დავუხვდი, რადგანაც ვიმყოფებოდი ზვიად ძიძიგურის ოჯახში, მათი დედა, ქალბატონი ნაზი ბზიავა შინ მარტო იყო. ამის გამო გადავრჩი, თორემ იმ ნიღბიანებს იქნებ ვერც გადავრჩენოდი. იქიდან ადრევე სამსახურში წავედი, მუშაობას ადრე ვიწყებდი. თავდამსხმელები თურმე სამტრედიელები იყვნენ, ეს კილოზე ეტყობოდათო, მამაჩემმა მითხრა, რომელიც ჩემთან ფაბრიკაში გასისხლიანებული მოვიდა. ამ ინცინდენტის მერე სამტრედიიდან კარგა ხნით წავედი... მე რომ 24-ე ბატალიონის უფროსის მოადგილე გავხდი, ბატალიონის უფროსი ზაზა კაჭახიძე იყო. სულიკო ალფაიძე, ბატალიონის ყოფილი მეთაური ხონში დახვრიტეს, ის შემთხვევით შეეჩეხა მხედრიონელებს.

**– თავიდანვე ერთად იყავით მხედრიონელები და ზვიადისტები, ყოველთვის დესპოტური დამოკიდებულება იყო თქვენდამი მხედრიონელთა მხრიდან? ვერ იხსენებთ დადებით მომენტებს თქვენს ურთიერთობაში?**

– ხონისა და მარტვილის საზღვარზე ჩამოდის მდინარე ხუნწა, მახსოვს, ამ მდინარეზე გადებულ ხიდთან ვიყავით დაბანაკებულები, ჩვენი პოზიციები აქედან, იქიდან კი მხედრიონელთა პოზიციები იყო. მდინარის კალაპოტი იმდენად ვიწრო იყო, ერთმანეთის ხმა კარგად გვესმოდა. ხომ არ დაგველიაო, დაგვიძახეს იქითა ნაპირიდან, რატომაც არა-თქო, ვუპასუხეთ, მაშინ ხიდზე შევხვდეთო, ჩვენ სამნი ვიყავით, ერთი მათგანი, თუ კარგად მახსოვს, ზაზა კაჭახიძე იყო. იქიდანაც სამნი იყვნენ. შუა ხიდზე ჩამოვსხედით, ცოტა არაყი წავიღეთ, მოძრაობა თავისთავად შეჩერებული იყო, ჩვენს მხედრიონელ თანამეინახეებს კილო აღმოსავლური ჰქონდათ. ვადღეგრძელეთ სამშობლო. ვთქვით ძირითადი სადღეგრძელოები, ნახევარი საათი დავყავით ერთად, ვისაუბრეთ და დავიშალეთ. ამიტომ არის საშინელება სამოქალაქო ომი, იმ საღამოს არაფერი მომხდარა, ტყვია არ გავარდნილა, მაგრამ დილიდან ისევ გახსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგე ბანაკიდან, ერთი თანამებრძოლი, გია გოგავა დაიჭრა და მერე საავადმყოფოში დაგველუპა.

ამ დროს საუბარში კობა ძიძიგური ჩაერთო, ბატონმა კობამ შემდეგი ეპიზოდი გაიხსენა: " ხუნწის ხიდთან ჩვენი პოზიციები ავიაგამანადგურებელმა სუ-25-მა არაერთხელ დაბომბა, არაერთი მსგავსი მანევრი განახორციელა იმ დროს თვითმფრინავმა, როცა მარტვილსა და ხუნწის ხიდთან ვიმყოფებოდით, ერთ-ერთი ამ დაბომბვის დროს კობა გამწარებული გამოვარდა, ხელში აიღო ავტომატი და თვითმფრინავს დაუშინა, ამ დროს თვითმფრინავს ლითონის მცირედი ნაგლეჯი მართლაც ჩამოუვარდა."

კობა ბიბილეიშვილი:

ანაკლიაში რომ ვიყავით, 120 კაცი იყო ჩვენს ბატალიონში, აფხაზეთის ომში ქვეყნის ხელისუფალს არ ჰქონდა ნება, გაგვეწია წინააღმდეგობა მტრისათვის, როცა ხელისუფლების ნება არ არის, ჯარისკაცი ვერაფერს იზამს. მძიმე ტექნიკა და არტილერია გამორიცხეს და მარტო ავტომატებით რას ვიზამდით? ომი მაშინაა გამართლებული, როცა სამშობლოს იცავ. სამოქალაქო ომი საშინელებაა. დარწმუნებული ვიყავი, არა მარტო ჩვენ, მეორე მხარესაც უყვარდა სამშობლო. ეს კარგად უნდა გაგვეანალიზებინა ორივე მხარეს...

**– ალბათ, ვერ მოასწრეს ანალიზი ქართველებმა...**

– დიახ, აფექტის მდგომარეობაში იყვნენ. მაშინ საბჭოთა კავშირი იშლებოდა, ამდენი დამოუკიდებელი ქვეყანა არავის სჭირდებოდა, ფაქტობრივად, მსოფლიომ გაგვწირა, ამერიკამ რუსეთს მარტო შეგვატოვა. გახსოვთ, პრეზიდენტ ბუშის ფრაზა "გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო", ზვიადის პასუხიც ცნობილია ყველასათვის: " დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო". გამსახურდია არაერთხელ მინახავს, მის დაკრძალვაზეც ვიყავით გროზნოში მე, ზვიად ძიძიგური ძმასთან ერთად და ზაზა დანელია, ბათუმიდან გადავფრინდით. აჭარის მთავრობის მეთაურს, ასლან აბაშიძეს მხედრიონთან კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდა, ზვიად გამსახურდიას მიმართ სიმპათიები გააჩნდა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეიფარა სამტრედიელი ზვიად გამსახურდიას მომხრეები, კარგა ხანი იქ ვიყავით.

**– გამსახურდია როგორი დაგამახსოვრდათ? ის მართლა ფანატიკოსი იყო თუ პატრიოტი?**

– უამრავჯერ მინახავს ის დედაქალაქში მიტინგზე, მახსოვს, სამეგრელოში რომ ჩამოვიდა, ფანატიკურად უყვარდა სამშობლო, სურდა, არავის დამორჩილებოდა საქართველო. მან გააღვიძა ქვეყანა და უთხრა, აი, ასე უნდა გიყვარდეს სამშობლო! მან გამოგვაღვიძა და მისი სიყვარული თავიდან გვასწავლა.

**– როგორ ფიქრობთ, დაფასებულია ის სათანადოდ?**

– ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს დაიწყო მისი დაფასება.

**– შევარდნაძეს ვკითხე, რატომ უწოდა გამსახურდიას ამალას ჯერ პროვინციული ფაშიზმი და მერე რატომ გამოაცხადა სამშობლოს ღალატში ბრალდებული გამსახურდია ეროვნულ გმირად...**

– ფაქტობრივად, მერე ქვეყნის სათავეში მოსულმა ყველა ხელისუფლებამ აღიარა იგი.

**– ეროვნული მოძრაობის წლების გახსენება სიამაყით გავსებთ?**

– მიუხედავად იმისა, დავმარცხდით, ჩვენ ქვეყნის ისტორია დავწერეთ, გავა წლები და ეს თავგანწირვა უფრო და უფრო დაფასდება.

# ხვალინდელი დღე მოდის...

*ახმაურდნენ ქუჩები. სასწავლო პროცესი განახლდა საჯარო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში. ნორჩებზე თავდავიწყებით შეყვარებულმა პედაგოგმა და საბავშვო პოეტმა ილია ლეკვეიშვილმა ახალი ლექსები გვაახლა რედაქციაში კეთილ სურვილებთან ერთად, რომლის ადრესატებიც ახალგაზრდები არიან.*

*წარმატებებს უსურვებს პოეტი მოსწავლე-ახალგაზრდობას, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს. დანარჩენს კი ლექსები იტყვიან.*

ლევან გაბეჩავა

**სკოლისაკენ**

დასრულდა არდადეგები,
მიხმობს ნაცნობი ზარია,
ზურგჩანთითა და წიგნებით
სკოლისკენ მიმიხარია.
მიმაცილებენ ნაცნობი
ხეობები და ველები,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
შენ კი და, შემოგევლები.
იმდენი ლექსი ვისწავლე
ძმობა და მეგობრობაზე,
რომ დავჯდე, ალბათ, მთელი დღე
მოყოლას ველარ მოვასწრებ.
სულში ნათელი მინთია,
გულში სულ მუდამ დარია,
ჩემ სათაყვანო სკოლისკენ
მივალ და მიმიხარია.
იქ მეგობრები მელიან,
სკოლის ქათქათა კედლები
და დედასავით ხმატკბილი
გულღია მასწავლებლები.
მონატრებული გარემო,
მუდამ მზიანი დარები,
და "დედა ენა" ქართული,
ხელიხელ საგოგმანები.
იხარე, ჩემო ქვეყანავ,
დამილოცნია ფესვები,
შენს სადიდებლად ყოველთვის
მეწერებოდეს ლექსები!

**გოგო სკოლისკენ იჩქარის**

შემოდგომაა, ოქროსფრად
ირთვება მთა და ბარიო,
გოგო სკოლისკენ იჩქარის,
ისწავლოს ანი-ბანიო.
მზეს ყელი მოუღერია,
ცას შეუხსნია კარიო,
მერცხლებმა მოაგვირისტეს
ჭიკჭიკით ჩვენი ბანიო.
რა ლამაზია სამშობლოვ,
შენი ცა-ხმელთ-წყალიო,
ერის და ბერის წინაშე
მომახდევინე ვალიო.

**აღარა ვარ პატარა**

კმარა უკვე, სკოლისაკენ
რაც მშობლებმა მატარა,
სიმაღლეშიც მოვიმატე,
აღარა ვარ პატარა.
შარშანდელი არ მრგებს უკვე
არც ქუდი, არც "კედები"
მეეჭვება, ვერ მიცნობენ,
ალბათ, მასწავლებლებიც.
მაღალ კლასში წიგნები და
ჩანთაც დიდი მჭირდება,
ნეტავ, კლასელების ცნობაც
ხომ არ გამიჭირდება?
ავისა და კარგის მალე
შევძლებ თავად ცნობასა,
სამშობლოსაც ვასახელებ
და საყვარელ სკოლასაც.

**ხვალინდელი დღე მოდის**

ჯგუფებად თუ წყვილებად
მწყობრად მოაბიჯებენ,
ცალკე გოგონები და
ცალკე კიდევ ბიჭები.
რამდენ რამეს ჰყვებიან,
რაც ნახეს თუ გადახდათ,
ალბათ, მთელ თვეს ეყოფათ,
სატრაბახოდ, ჯერ სად ხართ!
ტყუილებსაც ურევენ,
(არ იცინიან დათმობა)
მწერალს შეშურდებოდა,
ფანტაზია, მათ რომ აქვთ.
ქვეყნის ორომტრიალსაც
ყურს დიდივით აჩვევენ,
მართლაც გაგიკვირდებათ,
ისეთ თემებს არჩევენ.
ისე თავდაჯერებით
ბჭობენ, კიდეც ენდობი,
ქვეყნის საიმედო და
ხვალინდელი დღე მოდის.

ილია ლეკვეიშვილი

**ბუნების სურათები**

***

ისე თენდება, გუშინდელი ნაწვიმარი
ღამე იშლება ბავშვის დახატულ დაფასავით,
და მზით დაორსულებულ ზეცას,
ნისლი ჩაუცვამს თავის ფეხმძიმობის კაბასავით.

***

ბალახი ნამის ენითა
ცას იხსენიებს ქებითა,
ზაფხული ჩამოკიდულა,
კლდეს ვით კაკაბი ფრთებითა.

**შემოდგომა**

მთით დაგორებულ ძველი ხარივით,
გამომწყვდეულა მთებს შორის ნისლი,
ზაფხული თითქოს ხოხობივით ჩამოვარდნილა
და წასკდომია ოქროსფერი შუბლიდან სისხლი...

**სამეგრელოს დილა**

ისე თენდება, რომ ნაბდიანი ზაფხულის ღამე,
გათენებას თავზე იხვევს ყაბალახივით,
ნახევარ მთვარეს, ისე მოჩანს, თითქოს ნაბადში
ჩუმად მალავდეს მოტაცებულ ჩვილი ბალღივით...

**ჩანახატი**

***

მე ყოველ წირვას მაგონებს ხენი, კვირტები რომ იღებიან აღსავლის კარივით, და სადიაკვნო ტროპარის გალობით დიაკვნებივით, რომ გამოვლენ სანაყოფე ყვავილები, ფერადი სტიქარებითა და ბუტკოების საცეცხლურით რომ აკმევენ ტკბილ სურნელებას.

საოცარია მერე კვირტებიდან, როგორც აღსავლის კარიდან რომ გამობრძანდება მღვდელმთავარივით დინჯი ნაყოფი და უფლის სადიდებლად სამღვდელმთავრო ასამაღლებელს იტყვის. მთელი სოფელი მრევლია ამ დროს და დამსწრე ამ საოცარი წირვისა, ღმერთს რომ ხეებისთვის ჩაუნერგია. მერე, წირვის ბოლოს, მივალთ და მთელი სოფელი ვეზიარებით სიცოცხლეს, სიყვარულს, გაზაფხულს, მზეს, რომელიც ერთმანეთისა და ღმერთის სიყვარულის საწინდარია.

ყოველ გაზაფხულს კვირტების გაშლა წირვას მაგონებს, თითქოს დაიწყება, როცა ფოთლების სტიქაროსნები შეარხევენ ცაზე დაკიდულ ოქროს ზარებს, მაშინ უცებ მომეჩვენება, რომ ცა გუმბათია და დედამიწა ტაძარი დიდი, და მე კი ვდგავარ ჩემი სოფლის ამ საოცარ წირვაზე...

ერმილე თოფურია

## გალერეა [redacted]

# რკინიგზელები რკინიგზელთა ქალაქიდან

***ჩვენი გაზეთის ერთგულმა მეგობარმა პოეტმა, მერაბ ჩაჩავამ, გამაცნო ამას წინათ ბატონი ავთანდილ ცინცაძე. სოფლიდან დედაქალაქს მიემგზავრებოდა, წუხდა, ყოველ ჩამოსვლაზე უფრო და უფრო ცარიელი მხვდება სოფელიო, მივხვდით, მიგრაციაზე რომ იყო მისი გონება და მზერა მიპყრობილი.***

ოფეთში, სოფელ მტერჩვეულში დაიბადა. მისი ბავშვობა ისეთივე იყო, როგორიც ომისშემდგომი თაობებისა, არცთუ დალხინებული.

სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ წარმატებით დაამთავრა როსტოვის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი და მას შემდეგ, 48 წლის მანძილზე ნაყოფიერად, უმწიკვლოდ ემსახურა რკინიგზის ტრანსპორტს.



სადგურ სამტრედია მეორეში მაშინ ვიმუშავე ინჟინრად, როცა სადგურის უფროსი ბატონი ვალერი ზაქარაძე იყო, ხოლო რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას ბატონი რემი ვაშაკიძე ხელმძღვანელობდა.

წლების მანძილზე თბილისში, რკინიგზის დეპარტამენტშიც ვიმუშავე, საოცრად რთულია და საპასუხისმგებლო რკინიგზელობაო, დასძენს ჩვენი რესპონდენტი და თბილად იგონებს იმ ღვაწლმოსილ ადამიანებს, მთელი ენერგია რომ მოახმარეს რკინიგზის ზრდა-განვითარებას.

ბატონი ავთანდილი 76 წლისაა, თუმცა გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება. მეუღლესთან და შვილებთან ერთად ამჟამად დედაქალაქში ცხოვრობს, თუმცა სამტრედიას, სოფელსაც ხშირად სტუმრობს სოფელსა და თანასოფლელებზე, სამშობლოზე შეყვარებული კაცი, ლექსად რომ ათქმევინა ლამაზი სტრიქონები ჩვენი ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა განუმეორებელმა სილამაზემ, მშობლიური კუთხის თვალწარმტაცმა სანახებმა.

**ალაზნის ველები**

კახეთის გულში გაშლილო
ველებო ალაზნისაო,
უხვო და ბარაქიანო
კალთა გფარავდეთ ღვთისაო.
კვლავაც გეზარდოთ ვაჟკაცნი,
მუხლი ჰქონოდეთ მგლისაო,
გული სიამით აღსავსე,
მოკეთე მოყვასისაო.
ბალახს გიძოვდეს პირუტყვი,
ფარა თხისა და ცხვრისაო,
ტბებში გიმრავლოს ჯიშები
ლოქოს და კალმახისაო.
ბაღებში ვაშლი, ატამი,
ჯიშები ჭერამისაო,
ჩაშაქრებული მტევნები,
უტკბესი შარბათისაო.
ტანთ გეცვათ ჭრელი სამოსი
ვარდების, იებისაო,
თავზე გეხუროს გვირგვინი
ლამაზი დედოფლისაო.

**ციცინათელები**

შორს ჰორიზონტზე გამოჩნდა
ციცინათელას გუნდები,
ისეთი საოცრებაა,
თითქოს სამოთხეს შეხვედი.
მათი ნათებით აჭრელდა
მთა-ბარი, მინდორ-ველები,
ჯადოსნურ ზღაპარს გვაგონებს
ეს საოცარი მწერები.
დაე, მუდამჟამს ანათონ
ღამე, უკუნათ ქცეული,
მშვიდად დაფრენენ უკუნში
სულდგმულნი ღამეს ჩვეულნი.
კვლავ შეხვედრამდე, ბატონო ავთანდილ!

***ლევან გაბიჩავა***



სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღანირის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, ქალბატონი

**მარიამ ნადირაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღანირის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

**მარიამ ნადირაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ღანირის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღანირის სკოლის ყოფილი დირექტორი და დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ამაგდარი ქალბატონი

**მარო ნადირაძე**

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

ნათელა გელეიშვილი, ლუარა კახიანი, ირინა ქორიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საჯავახოს საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე, 1974-93 წლებში ღანირის საშუალო სკოლის დირექტორი, მომავალი თაობის აღზრდაში ბოლომდე დახარჯული ქალბატონი

**მარიამ (მარო) ნადირაძე**

და თანაუგრძნობენ ჭირისუფლებს.



ირინე და გოგი ნიშნიანიძეები იუწყებიან ნათლიის

**მერაბ (ჩუნე) ქანთარიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფლებს.

ბექან გოგია თანაუგრძნობს მამა ათანასეს (რუხაძე) ბაბუის

**ავთანდილ რუხაძის**

გარდაცვალების გამო.



# სიყრმის მეგობრის ვალერი ჩხეიძის ხსოვნას

ჭეშმარიტი ქართველი, მტკიცე ნებისყოფის კაცი, უმძიმესი ვითარებიდან გამოსავლის მპოვნელი.

პიროვნება, სარკაზმისა და იუმორის გრძნობის პატრონი, დიდი ერუდიციის მქონე, ჭეშმარიტი მეგობარი, კაცი _ ადამიანი! საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე 14 წლის მანძილზე.

დასცეს კაცი _ მონა ღირსების, ამაყი თავი დაბლა დახარა.

ველარ გაუძლო შეურაცხყოფას, ქვეყნის ცრუ აზრებს, როგორც ყოველთვის ალუდგა ერთი... და მოკვდა იგი.

ახლა რას გვარგებს გლოვა, ხოტბა-დიდება მოქარგული ენით?!.
თავის მართლებაც სულ ამაოა, ოდეს შესრულდა ეს განაჩენი.
მოკვდა! _ გაცრუებული იმედების თან წაჰყვა დარდი. მას აწ ვერსად ვნახავთ.
ბნელი და ვიწროა ბინა მისი და ბაგეზეა სიკვდილის დამღა.

***მერხის მეგობარი გია ბოჭორიშვილი***

P.S. ...''და იქმნა კაცთათვის მეგობარი _ საზომად სულგრძელობისა და სამჟღავნებლად თავდადებისა თვისასა''.

# სიმართლე კარაქზე



კარაქი წარმოადგენს რძის პროდუქტს, რომელიც მზადდება ფერმენტირებული ან ჩვეულებრივი რძის ან ნაღების ათქვეფის შედეგად. კარაქი მყარია გაყინულ მდგომარეობაში, ოთახის ტემპერატურაზე ის უნდა რბილდებოდეს, ხოლო სითხედ იქცევა 32-35 გრადუსის პირობებში.

კარაქი ბუნებრივად ფერმკრთალი ყვითელია. თუმცა შეიძლება იყოს მუქი ყვითელიდან თითქმის თეთრამდე. დამოკიდებულია იმ საკვებზე, რითაც ძროხა იკვებება. კომერციული მიზნით კარაქს ზოგჯერ ღებავენ, რათა უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს.

კარაქის კვებითი ღირებულება შემდეგია: 100 გრამზე 717 კალორია (ერთ ერთი ყველაზე მაღალკალორიული ცნობილი პროდუქტია). ნახშირწყლებს არ შეიცავს. ცხიმები 81 გ. აქედან ნაჯერი ცხიმები 51 გ. მონოუჯერი 21 გ. პოლიუჯერი 3 გ. ცილები 1 გ.

ვიტამინები: A ვიტამინი 684 მკ/გ. _ დღიური საჭიროების 86%, ვიტამინი D _ დღიური საჭიროების 10%, ვიტამინი E _ 2.32 მგ. დღიური საჭიროების 15 %.

ქოლესტერინი 215 მგ.

ხშირად ისმის კითხვა, კარაქი სასარგებლოა თუ არა ჯანმრთელობისთვის. თუ გავითვალისწინებთ მის მაღალკალორიულობას, ცხიმების მაღალ შემცველობას და ქოლესტერინის ოდენობას ზომიერად მიღებული კარაქის რაოდენობა კარგია ჯანმრთელობისთის შემდეგი მიზეზების გამო: შეიცავს ცხიმში ხსნად ვიტამინებს, შეიცავს ლინოლენის მჟავას (იგივე ომეგა სამი), კარაქი არ მოქმედებს უარყოფითად გულზე, არ იწვევს სიმსუქნეს და მეტაბოლურ დარღვევებს (რაშიც აქამდე ბრალს დებდნენ, ხოლო კვლევებით აღმოჩნდა, რომ კარაქი უსაფრთხოა) გემრიელია _ ბევრი ადამიანისთვის საუზმის საუკეთესო ფორმაა კარაქიანი პური.

და ბოლოს კარაქი არ აგერიოთ სპრედში ან მარგარინში, ისინი არათუ სასარგებლონი არ არიან, არამედ ყველაფერი ერთად უარყოფითი, რაც შეიძლება ქონდეს საკვებს, მათ აქვთ. რაც შეეხება კარაქს, ის ნამდვილად სასარგებლო და კარგია ზომიერების ფარგლებში. დიდი რაოდენობით კი თვით ოლივიეს ზეთიც, რომელიც ყველაზე სასარგებლო ცხიმად ითვლება დედამიწაზე, მავნებელია, ასე რომ ზომიერად თამამად შეგიძლიათ მიირთვათ კარაქი ის მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის.

**მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას**

გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

*პატივისცემით*
*„სამტრედიის მაცნე"*





**ბატონ კახა შენგელიას!**

ღვთისმშობლობას და დაბადების დღეს გილოცავ, ღირსეულ ქართველს, წარმატებებს გისურვებ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

იდღეგრძელე!

*ბექან გოგია*

**მაიკო ბერეკაშვილს!**

გილოცავთ 6 წლის შესრულებას, გისურვებთ ლაღ ბავშვობას და ბედნიერ მომავალს! უფალი გფარავდეს, ჩვენო პატარა ანგელოზო!

*მშობლები*

**გიგანტი ბიბილეიშვილს!**

მეგობარი **„სამტრედიის მაცნე"** დაბადების დღეს ულოცავს მეგობარ გიგანტი ბიბილეიშვილს. თქვენეული შემართებით გაგევლოთ გრძელი წუთისოფელი. დიდი და ღირსეული ოჯახის მამას საყვარელი ადამიანების სიკეთე და ბედნიერება დაგებედოთ.





განათლებას თავს ევლები,
სხვა შენ დარი არ არისო,
„მაცნე" ასე მოგეფერა,
გაიხარე ჩვენო ფისო!

სამტრედიაში, რუსთაველის №23-ში, პირველ სართულზე, გაიხსნა სილამაზის სალონი „LENU".

აქ გამოცდილი სტილისტები მოგემსახურებიან.

ტელ.: 599 313 318
555 333 797




# უშანგი მარგიანი _ 2017 წლის მსოფლიოს პრიზიორი

28 აგვისტოს დაიწყო და 2 სექტემბერის ჩათვლით გაგრძელდა მსოფლიოს ჩემპიონატი უფროსი ასაკის მამაკაცებს შორის ჭიდაობა ძიუდოში. ორთაბრძოლები უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა, სადაც მსოფლიოს 126 ქვეყანა მონაწილეობდა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქვეყნის ღირსებას იცავდა სამტრედიელი ძიუდოისტი, უშანგი მარგიანი. კლუბ „ფალავანის" აღზრდილმა 6 ბრძოლა ჩაატარა, 5-ში დამაჯერებლად გაიმარჯვა და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. მესამე ადგილის მიუხედავად, სპეციალისტთა აზრით, უშანგი მარგიანმა ბუდაპეშტში შესანიშნავად იასპარეზა, მსაჯთა დაუდევრობით მე-4 შეხვედრაში სამტრედიელ ფალავანს სერბ ძიუდოისტთან, რომელიც ამ ტურნირით გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ბრძოლა დაათმობინეს.




უშანგი მარგიანი ამ წაგების შემდეგ დამამშვიდებელ ბლოკში გადაერთო და ბრძოლა ბრინჯაოს მედლისთვის გააგრძელა. მან ორი შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა, იგი იპონგდებით ამარცხებს აზერბაიჯანელ ძიუდოისტს, მესამე ადგილისთვის უპირისპირდება სერბ ძიუდოისტს, მსოფლიო რეიტინგის პირველ ნომერს, მოქმედ ევროპის ჩემპიონს. მან აქ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და გახდა 2017 წლის მსოფლიოს პრიზიორი.

„სამტრედიის მაცნემ" კომენტარი თხოვა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჭიდაობა ძიუდოში, უშანგი მარგიანის პირად მწვრთნელს. ავთანდილ თარგამაძემ დადებითად შეაფასა ბუდაპეშტში სამტრედიელი ფალავანის ასპარეზობა: „უშანგიმ ბრწყინვალედ იასპარეზა ასეთი მაღალი დონის შეჯიბრში. დასანანია, რომ მარგიანი ამ მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს გარეშე დაბრუნდა. არადა, მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ 2017 წლის მსოფლიოს არა პრიზიორი, არამედ ჩემპიონი გამხდარიყო. მედლისთვის ბრძოლაში, მოგეხსენებათ, უშანგი მარგიანი ტრავმის გამო გამაყუჩებლებით იბრძოდა, თუმცა ეს ფალავანს არც ეტყობოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და უშანგის წარმატება მინდა მივულოცო მარგიანის ოჯახს, მეუღლეს, ქრისტინე თევზაძეს და მის მშობლებს, დას, ანა მარგიანს და ყველა მის გულშემატკივარს. განსაკუთრებით მწვრთნელებს ბადრი შენგელიას და ბესარიონ შვანგირაძეს".



უშანგი მარგიანი საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც ქალაქ თბილისში, ნოემბერში გაიმართება.

სამტრედიელ წარმატებულ სპორტსმენს მუნიციპალიტეტის გამგებლის კაბინეტში ოფიციალური შეხვედრა მოუწყვეს. მას საპრიზო ადგილზე გასვლა მიულოცეს და შემდგომში წარმატებები უსურვეს ადგილობრივი თვითმმართველობის პირველმა პირებმა: ვალერიანე ფოცხვერიამ, ლიზა კრავეიშვილმა, ნატალია მანჯგალაძემ, კობა ძიძიგურმა და ბადრი შენგელიამ, მწვრთნელებმა ბესარიონ შვანგირაძემ, რევაზ გვენცაძემ, ვეფხია სტურუამ, საჭიდაო კლუბ „ფალავანის" დირექტორმა, ირაკლი მელაშვილმა.

შეხვედრაზე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს უშანგი მარგიანის აღმზრდელ მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ავთანდილ თარგამაძეს. იქვე უშანგი მარგიანს და ავთანდილ თარგამაძეს.

სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

*ნინო ნანიტაშვილი*

# გიორგი ზაქარიაძე არჩილ ჩოხელის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი გახდა

9 და 10 სექტემბერს თბილისი ჭიდაობა სამბოში საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა, რომელიც ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, არჩილ ჩოხელის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი. ტურნირში მსოფლიოს 20 ქვეყნის სამბისტები ასპარეზობდნენ.




საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი, მძიმე წონოსანი, გიორგი ზაქარიაძე (მწვრთნელები ბადრი შენგელია და ბესარიონ შვანგირაძე). სამტრედიელმა ფალავანმა ფინალში რუსი და ყაზახი სამბისტები დაამარცხა. ფინალში გასასვლელ შეხვედრაში ის ევროპის მოქმედ ჩემპიონს, მის თანამემამულეს, ბერძენიშვილს ამარცხებს.

გიორგი ზაქარიაძემ ფინალურ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ბელორუს სამბისტთან დათმო შეხვედრა და მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ავთანდილ თარგამაძე, გიორგი ზაქარიაძის პირადი მწვრთნელი: „გიორგი ყველა შეჯიბრს განსაკუთრებული მომზადებით და პასუხისმგებლობით ხვდება. მან ამჯერადაც ყველაფერი გააკეთა, რომ ოქროს მედალი მოეტანა საქართველოსთვის, მაგრამ სპორტული იღბალი ამჯერად მის მხარეზე არ აღმოჩნდა. გვჯერა, გიორგი ზაქარიაძე კვლავაც უამრავ გამარჯვებას მოუტანს მის მშობლიურ ქალაქს და საქართველოს".

*ნინო ნანიტაშვილი*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა